სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 17 ივნისი 1997 №69 (434) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1:4 კატოვიცე ილუზიების სასაფლაო

თემურ ქეცბაია:

ასეთ დაფასებას და სითბოს, მართალი გითხრათ, არც ველოდი... ჩემი მეუღლე აღფრთოვანებული და გაოგნებულია იმით, თუ რაოდენ ძლიერად ვუყვარვარ ჩემს ხალხს... ღმერთმა ქნას, გაისად ეროვნულმა ნაკრებმა სოხუმში ითამაშოს...

რეპორტაჟი რესტორან „ევროპიდან“ იხილეთ მესამე გვერდზე

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲥᲔᲪᲑᲐᲘᲐ:

შემვარდნემა ფრანგმაც დაკოტრტნა

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

60-იანი წლების დასაწყისში წვრილფეხა პარიზელმა საქმოსანმა ჟორჟ მატუამ, ბოლოს და ბოლოს, მიაღწია საწადელს: თავისი მცირე კაპიტალი, რაც ფართლეულით ეაჭრობით დაგროვა, ერთ-ერთ ფრანგულ საპარფიუმერიო ფირმაში დააბანდა, ეს ფირმა კი მეტად მომგებიანი გახდა და მატუას ყოველწლიური წილი ფირმიდან საკმაოდ სოლიდური გახდა. მატუას, რაკი ფული იშოვნა და ბიზნესში საქმე აიწყო, გართობაც მოუნდა. იფიქრა, იფიქრა და ასე გადაწყვიტა: თანამოაზრენი და მეგობრები შემოიკრიბა და ველოსიპედის მოყვარულთა კლუბი „ბულონ ბელანკურ ატლეტიკ კლუბი“ დაარსა. მალე ყველა პარიზელი ველოსიპედის მოყვარული ამ კლუბის წევრი გახდა. სპორტის სხვა სახეობის მოყვარულებმაც მიაშურეს მატუას და — ველოსიპედი თუ არ ეპიტნავება და, ვთქვათ, ჩოგბურთი ან კრივი გვიტაცებს, რა ვქნათო, ჰკითხეს. ჟორჟმაც დიდსულოვნება გამოიჩინა და სპორტის სხვა სახეობის მიმდევრებიც შეივრდომა. ჩოგბურთსა და კრივს ფეხბურთი მოჰყვა, ფეხბურთს ჭიდაობა და ახლა ცხონებული მატუას დაარსებული კლუბი სპორტის 35 სახეობას აერთიანებს. პარიზში, ვისაც სპორტი მეტ-ნაკლებად აინტერესებს, ყველამ იცის „მატუას კლუბის არსებობა, რომელსაც შემოკლებით „ბულონს“ ეძახიან. აი, სწორედ „ბულონის“ ძიუდოისტები ეწვევნენ შაბათს თბილისს ჩვენებურ „შევარდენთან“ საპაექროდ.

იხილეთ მეექვსე გვერდი

ᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲬᲐᲕᲐᲒᲔᲗ

მორჩა, დამთავრდა — ილუზიები საბოლოოდ დასამარდა. ესაო, ისაო, ვეას ხელი რა ვთქვით, ეს რა ჯგუფი შეგვახვედრაო... სისულელე ყოფილა ყველაფერი. ინგლისი ინგლისიაო, იტალიაც — იტალიაო. ჯანდაბას იმათი ოხერი, ჩვენზე გაცილებით მაღალი კლასის თავი. შაბათს საქართველოს ეროვნულმა გუნდმა 1:4 წააგო პოლონეთის მეორე ნაკრებთან. ახლაც, ცხადია, იტყვიან — რაო, რა მეორე გუნდიო და თუ მეორეო, ეს ჩვენთვის უარესი, თავის გამოჩენა უნდოდა ყველასო. ისე, საკითხავია, მეორე გუნდი კი იყო? ანჯეი ვოზნიაკი (პორტუ), მარეკ იოზვიაკი (გინგამი), ტომაშ ვალდოხი და ჰენრიკ ბალუშინსკი (ორივე ბოხუმი), პაველ ვოიტალა (ჰამბურგი), პიოტრ ნოვაკი (მიუნხენ 1860), პიოტრ სვერჩევსკი (ბასტია), ანჯეი იუსკოვიაკი (მინხენგლადბახი), ვოიცეხ კოვალჩიკი (ბეტისი) და კშიშტოფ ვარჟიხა (პანათინაიკოსი). ეს მხოლოდ ლეგიონერები. დაუმატეთ ამას „უემბლიზე“ გოლის გამტანი მარეკ ჩიტკო (ვიძევი) და ბოლო დროს ყოველთვის ძირითადში მოთამაშე იაცეკ ზელინსკი (ლეგია). აი, ეს ხალხი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, აკლდა პოლონეთს! პოლონეთს, რომელსაც სათვალავში არავინ აგდებდა — ალბათ იმის გამო, რომ წინა შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანელებს ორ თამაშში მხოლოდ ერთი ბურთი გაუტანა; პოლონეთს, რომლის საშაბათო სასტარტო შემადგენლობა ჩვენი ნაკრების თავკაცობამ წინა დღეს იცოდა; პოლონეთს, რომელსაც მთავარი მწვრთნელიც კი აკლდა; პოლონეთს, რომლის მხარდაჭერაც იმ დღეს რამდენიმე ასეული კაცის ჟივილ-ხივილშიღა გამოიხატებოდა; და ბოლოს, პოლონეთს, რომელიც 25-ე წუთზე აგებდა. და მაინც, პოლონეთმა 4:1 მოგვიგო.

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲜᲓᲐ ᲕᲐᲠᲗ

ჩვენ ვართ მსოფლიოს რეიტინგში ასმრამდენიმელაცე ადგილზე მყოფი გუნდი, რომლის მეპატრონეებიც ამ მერამდენიმელაცე ადგილს ქვეყანაში შექმნილი ვითარებით ხსნიათ, თუმცა ჩვენს წინ მდგომ ზაირსა, კონგოში თუ ლიბერიაში, დედა შვილს რომ არ აიყვანს, ისეთი მდგომარეობაა; ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც ჟურნალისტებმა წერა არ იციან, ეროვნულმა გუნდმა კი თამაში იცის, მაგრამ მაინც ყველაფერს აგებს; ჩვენ ვართ შემტევი ფეხბურთით მსოფლიოში, შეიძლება მხოლოდ ევროპაში, ბოლო-ბოლო, ესენგეში მაინც, სახელგანთქმული ქვეყანა, რომლის ეროვნული გუნდიც ყოველთვის — შინ მოლდოვასთან თუ სტუმრად იტალიასთან — ერთი თავდამსხმელით თამაშობს, თან ისიც მოედნის ცენტრთან დარბის საწყალი, ეგებ ბურთი მოვიპოვოო.



არიან ქვეყნები, რომლებსაც, გარკვეულ მიზეზთა გამო, არ ჰყავთ ძლიერი საფეხბურთო კლუბები, მაგრამ ჰყავთ ძლიერი ნაკრებები. არიან ქვეყნები, თუმცა უფრო იშვიათად, რომელთაც ძლიერი კლუბები ჰყავთ, მაგრამ, აქაც გარკვეულ მიზეზთა გამო, არ ჰყავთ ძლიერი ნაკრები. ჩვენ არ გვყავს არც კლუბები (გარკვეულწილად ობიექტურ მიზეზთა გამო) და არც ნაკრები. ჩვენ ვართ... „საქართველო ის გუნდია, მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ რომ შეუძლია საოცრების მოხდენა“ — ეს სიტყვები ტერი ვენეიბლზს ეკუთვნის. ორ წელიწადში ერთხელ ლუქსემბურგიც ახდენს სასწაულს (ფრე ჩეხებთან) და ლიხტენშტაინიც (ფრე ირლანდიასთან).

მოკლედ, ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც ჰყავს (დიახ, მართლაც ჰყავს) ძლიერი ფეხბურთელები, მაგრამ არ ჰყავს გუნდი — არც ჩვეულებრივი და არც ეროვნული. ესტონეთს ჰყავს გუნდი, ლატვიასაც — ცხადია, სუსტი, მაგრამ მაინც გუნდი, ჩვენ ეროვნულს კი გუნდი არ ჰქვია. ჩვენ გვყავს პრეზიდენტი (ფედერაციისა), რომელიც ადრე მწვრთნელი იყო, ახლა კი პრეზიდენტია და თან, შიგადაშიგ, კვლავ მწვრთნელობს. ამიტომ ხომ არაა, რომ გინდ ჩივაძე იყოს, გინდ ყიფიანი — ნაკრების საქმე ერთნაირად მიდის: „ორ წელიწადში ერთი გასროლა“.

ᲠᲐᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲠᲩᲔᲜᲘᲐ

ქვემორე სიტყვებში იუმორის ნასახიც კი არ არის. მართლაც, ჩვენ დაგვრჩენია გავიხაროთ მოლდოველებზე გამარჯვებით და ველოდოთ „ორ წელიწადში ერთ სასწაულს“. მწარეა, მაგრამ სინამდვილეა და ველარსად გაექცევით. და თუ ამას ჟურნალისტების ლანძღვა გამოასწორებს, ასემც იყოს — აღდგომა და ხვალეო.

და კიდევ. ჩვენი მთავარი გასახარი, ბევრს რომ ზედმეტად მიაჩნია, სწორედ ისაა — ჩვენი ფეხბურთელების უცხოურ კლუბებში თამაში. გადაიყვანეს ჭკუიდან მანჩესტერი, ტრაბზონი თუ ათენი გიომ, შოთამ და თემურმა. იმედია, ამას ნიუკასლის, ამსტერდამისა და ლონდონის ჩვენებურებით აღტაცება მოჰყვება. ჩვენც ამით გავიხარებთ. აბა, იმავე ბიჭებისგან შემდგარი ნაკრების, სწორი სვლა და გეზი რომ ვერავინ მისცა, იმედად ჩვენი მტერი იქნა.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე

თამაში პირველ გოლამდე

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

14 ივნისი. კატოვიცე. 1000 მაყურებელი

პოლონეთი 4:1 საქართველო

პოლონეთი: შამატულსკი, სეკიბეგი, კუკიელკა, მიხალსკი, კალუჟნი, სოკოლოვსკი, ბუკალსკი, ლედვონი, დემბინსკი (ადამჩიკი 86), კშიშტოფ ნოვაკი, ტეფჩაკი (კუხარსკი 60)

საქართველო: ზოიძე, ლობჟანიძე, ცხადაძე, კობიაშვილი (ყიფლიაშვილი 72), კალაძე, გოგიჩაიშვილი (ა. არველაძე 46), ნემსაძე, ჯამარიული (კიკნაძე 46), ქვაბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე

გოლი: შ. არველაძე (25), ლედვონი (33), ტეფჩაკი (58), ბუკალსკი (70), ნოვაკი (90)

გაფრთხილება: ლედვონი (18), კობიაშვილი (43), ლობჟანიძე (58), ნემსაძე (64)

დავით კაკაბაძე
კატოვიცედან

საკმაოდ უმუალოდ მატჩს შევეხებოდეს. მატჩ. სმენდგომი პრესკონფერენციის ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. ადგილობრივი ჟურნალისტის შეკითხვისას, თქვენი აზრით, ვინ იყო დღეს ყველაზე სახიფათო პოლონელი მოთამაშეო, ყიფიანმა დაუფიქრებლად და სიმწარენარევი ირონიით უპასუხა, საქართველოს ნაკრებო.

სამწუხაროდ, ჩვენი ეროვნული გუნდის ხელმძღვანელის ეს პასუხი არც ხუმრობა გახლდათ და არც დამსწრე საზოგადოების გასამხიარულებლად ნათქვამი ორიგინალური ფრაზა. ზოიძის კარში გატანილი ოთხივე ბურთი ჩვენი მცველებისა თუ ნახევარმცველების უხეშ შეცდომათა შედეგი იყო, ხოლო მეორე და მეოთხე გოლები იმგვართა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთო, როგორიც არათუ ეროვნულ ნაკრებთა დონეზე გამართულ მატჩებში, ქუჩის გუნდების პაექრობაში ძნელად თუ ეპატიება მობურთალს.

ფეხბურთი შეცდომებით საზრდოობსო — იტყვიან ერთნი. ფეხბურთელი რომ არ ცდებოდეს, ყველა თამაში 0:0 დამთავრდებოდაო — კვერს დაუკრავენ მეორენი. მერწმუნეთ, ეს ჭეშმარიტებანი ჩემთვისაც ცნობილია, მაგრამ როცა შეცდომა უყურადღებობის, დაუდევრობის, ან უფრო მეტი, უგულობის შედეგია, მისი პატიება განსაკუთრებით მიჭირს.

პირველი გოლი ჩვენს კარში ასე გაიღა: გოგიჩაიშვილმა მოედნის ცენტრალური ხაზთან, სულიად უწყინარ ვითარებაში დაკარგა ბურთი. კალუჟნიმ იგი კარგად გაუჭრა მარჯვენე, კობიაშვილისგან უყურადღებოდ მიტოვებულ ლედვონს, რომელიც მშვიდად შევიდა საჯარიმოში და 15-ოდე მეტრიდან ზუსტად დაარტყა კარში. ამ ეპიზოდიდან ორი წუთიც არ იყო გასული, რომ მასპინძლებმა მეორე გოლი გაიტანეს: ნემსაძემ თანაგუნდელის ნაცვლად ბურთი მიხალსკის მიაწოდა, მან კი კარგად შენიშნა მარცხენა ფლანგზე გაჭრილი დემბინსკი; ამ უკანასკნელმა ჩაწოდება სცადა, მაგრამ ბურთი ხელზე მოხვდა ლობჟანიძეს და ისევ პოლონელს დაუბრუნდა. დემბინსკიმ კიდევ ერთხელ ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც კალაძესა და ცხადაძეს სრულიად უყურადღებოდ ჰყავდათ მიტოვებული ბუკალსკი. მასპინძელთა ნახევარმცველმა ასევე ეულად დარჩენილი ტეფჩაკი მონახა, მან კი აუღელვებლად შეაგორა ბურთი შორეულ კუთხეში. ასეთი გოლები მხოლოდ ვარჯიშის დროს თუ მინახავს, როცა გუნდი თავდასხმაში ახალ კომბინაციას ამუშავებს და მცველები მხოლოდ და მხოლოდ სტატისტების ფუნქციას ასრულებენ. ზემოთაღწერილი სცენის შემყურეს ასეთმა ფიქრმა გამიელვა: ჩვენი მცველების ნაცვლად საჯარიმოში მუყაოს მანეკენები ან სულაც ბოძები რომ განთავსებინათ, პოლონელები ასე ძლიერ ვერ გაილაღებდნენ, რადგან ის მანეკენები თუ ბოძები პოზიციურად მაინც იქნებოდა სწორად განლაგებული.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას მეოთხე გოლზეც, როცა კუხარსკიმ მარჯვენიდან მიაწოდა ბურთი შორეულ ძელთან მარტოდ მყოფ კშიშტოფ ნოვაკს, მან კი მიწაზე დაუშვებლად 4:1-მდე გაზარდა ანგარიში. ნოვაკისთვის ხელის შეშლა არავის უცდია, მეტიც — თუ თვალმა არ მომატყუა, მის გარშემო 6-7 მეტრის რადიუსში ზოიძის გარდა არც ერთი ქართველი არ იმყოფებოდა?!

მანამდე იყო ბუკალსკის მიერ რეალიზებული პენალტი, რომელიც ლედვონის წაქცევისთვის დაინიშნა. კობიაშვილმა დროულად ვერ ჩაჭრა კალუჟნის გადაცემა და მას ერთი ნაბიჯით უკან მყოფმა ლედვონმა დასწრო. საჯარიმოში შესული ქართველი და პოლონელი კი ერთმანეთს შეეჯახნენ, რასაც პენალტი მოჰყვა. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ კობიაშვილმა აშკარად ვერ გაართვა თავი ლედვონის მეურვეობას: 23 წლის კატოვიცელი ნახევარმცველი მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

არადა, პირველი ნახევარი საათის შემდეგ ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ მასპინძლები დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ. 25-ე წუთზე ლობჟანიძის ზუსტი პასის შედეგად შოთა არველაძის მიერ მოხდენილად გატანილი გოლი თითქოს უკეთესის იმედს იძლეოდა. თვით თამაშიც თანაბარი იყო. ასპროცენტიანს რომ უწოდებენ, ისეთი საგოლე მომენტი (გოლს თუ არ ჩავთვლით) არცერთ მეტოქეს არ შეუქმნია.

რიცა 33-ე წუთზე პოლონელებმა ზემოთაღწერილი პირველი გოლი გაგეტანეს, გერმანია — საქართველოს ორი წლის წინანდელი მატჩი გამახსენდა. მაშინ, ნიურნბერგში, ანგარიში თითქმის ზუსტად იმავე დროს, 28-ე წუთზე გავხსენით; მაშინაც და ახლაც მხოლოდ მცირე ხანს შევძელით უპირატესობის შენარჩუნება: გერმანელებთან შეხვედრაში 20 წუთის მანძილზე ვიყავით წინ, ამჯერად მხოლოდ 8 წუთით დავწინაურდით. საბოლოოდ მაშინაც ხ4 წავაგეთ და ახლაც.

განსხვავება ის გახლავთ, რომ მაშინ მსოფლიოს იმყამინდელი და ევროპის მოქმედი ჩემპიონი გვყავდა მეტოქედ, ამჯერად კი, პოლონეთის ისედაც არცთუ ძლიერი ნაკრების მეორე შემადგენლობა. ძირითადი გუნდიდან კატოვიცეში მხოლოდ ოთხმა ფეხბურთელმა (კალუჟნი, ლედვონი, ბუკალსკი და დემბინსკი) ითამაშა — დანარჩენებმა, მას შემდეგ, რაც ფინალურ ტურნირში გასვლის შანსი დაკარგეს, შვებულებაში წასვლა არჩიეს.

პოლონელთაგან განსხვავებით, ქართველებს საუკეთესო შემადგენლობით თამაშის საშუალება მიეცათ. შელიას გარდა, ძირითადი გუნდიდან კატოვიცეში მათ არავინ ჰკლებიათ. მოლდოვასთან მოგებული მატჩის შემდეგ დავით ყიფიანმა შემადგენლობაში ერთადერთი ცვლილება მოახდინა — ჩიხრაძის ნაცვლად მინდორზე 19 წლის კალაძე გამოიყვანა. იმის თქმა, დებიუტანტმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვაო, ერთდროულად მართებულიც იქნებოდა და უსამართლოც. მართებული იმიტომ, რომ კალაძემ მართლაც სუსტად ითამაშა, უსამართლო კი იმიტომ, რომ იგი გამონაკლისი არ ყოფილა — მასზე უკეთ არც მის თანაგუნდელებს უთამაშიათ.

მთელი მეორე ტაიმის მანძილზე, როცა სტუმრებს თითქოს ყველაფერი უნდა ეღონათ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მათ ორად-ორჯერ შეძლეს სახიფათო მომენტის შექმნა. 78-ე წუთზე ქცბაია-არჩილ არველაძე-ყველაშვილის კომბინაცია კინაღამ გოლით დასრულდა, ხოლო 2 წუთის შემდეგ ულამაზესი გარღვევა განახორციელა ქინქლაძემ, რომლის დარტყმა შამოტულსკიმ მოიგერია, კარის წინ სრულიად მარტო დარჩენილმა ყველაშვილმა კი ბურთი მიზანს ააცილა.

პრესკონფერენცია

კშიშტოფ პაელაკმა განაცხადა: „ჩვენგან დღეს ყველა გამარჯვებას ითხოვდა. ამან დღევანდელი მატჩი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უკიდურესად გაართულა და მიგი, უფრო მასპინძლებს გამარჯვება შეეფერებოდა ანგარიშ. ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ პოლონურ ფეხბურთში არც ისე ცუდადაა საქმე რიგორც ამას ბიზი ჟურნალისტი გვისტავსო.“

ამის პასუხად ერთ-ერთი პოლონელი კოლეგა წამოდგა და პაელაკს მიმართა, სირცხვილი არ არის, ასეთ უსუსურ გუნდთან გამარჯვებას ამხელა მნიშვნელობას რომ ანიჭებო. რაზეც პოლონელთა მწვრთნელმა მიუგო, სუსტი გუნდი კი, მაგრამ 4:1 მოვიგეთ და მეტი რაღა უნდა გვექნაო.

მოდავეთა შორის „თავისი სამართლე“, ალბათ, ორივე მხარეს ჰქონდა. თუმცა, ბუნებრივია, ეს აშკარად არაკეთილმოსურნე სიტყვიერი კეჭნაობა პოლონელთა შორის მტყუან-მართლის გასარკვევად არ მოგვყავს. უბრალოდ, ძალიან არასასიამოვნოა, როცა მავანი აინუნშიაც არ გაგდებს და ასე უდიერად, უპატივცემლოდ ლაპარაკობს შენზე. ჩვენმა ნაკრებმა კი, უნდა ვაღიაროთ, პოლონელებს ასეთი დამოკიდებულების საბაბი ნამდვილად მისცა.

რაც შეეხება დავით ყიფიანს, იგი საკმაოდ სიტყვაძუნწი იყო: „პირველი გაშვებული გოლის მერე დაცვაში პრობლემა გაგვიჩნდა, დაირღვა ურთიერთდაზღვევა, ფეხბურთელები დაიბნენ...“

პრესკონფერენციის მერე იტალიის ნაკრების მწვრთნელი ჩეზარე მალდინი დავინახე და, რაღა თქმა უნდა, მატჩის კომენტარი ვთხოვე.

— პირველ გაშვებულ გოლამდე ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. გოლის მერე კი თქვენი გუნდის ცნობა შეუძლებელი იყო. საქართველოს ნაკრების ასეთი სუსტი თამაში ჩემთვის ძალიან მოულოდნელია.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ამხელა ვზა ტყუილად გამოიარეთ და ამ მატჩზე ჩამოსვლა არც ღირდა?

— რა თქმა უნდა, არა. ახლა ჩვენი ყურადღება მთლიანად საქართველოს ნაკრებთან მომავალ მატჩზე გვაქვს გადატანილი და ეს ვიზიტი ნებისმიერ შემთხვევაში სასარგებლო იყო. მომავალი შეხვედრა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია!

ამ სიტყვებზე ბატონმა ჩეზარემ მატჩის დროს გაკეთებული ჩანაწერებით სავსე სქელტანიანი რვეული მიჩვენა და კიდევ ერთხელ გაიმეორა: იმპორტანტისმო!

რიშარდ როგალსკის ფოტოები

ვილაპარაკოთ ამბიციების გარეშე

იმჯერად იმას მაინც ვერ ვიტყვით, კარგად ვითამაშეთ, მაგრამ წავაგეთო... მართალია, სიტყვა-სიტყვით ეს არ უოქვამს რევაზ ძოძუაშვილს, მაგრამ მისი ნალაპარაკევიდან მხოლოდ ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. თავიდან, ცოტა არ იყოს, მოიერიდა კიდეც მახინაცთან პოლონეთ — საქართველოს მატჩის პერიპეტიებზე საუბარი, მაგრამ, როცა ჩემი თხოვნით საკუთარი ჩანაწერების დასტა გადმიღო და ფურცელ-ფურცელ კითხვა დაიწყო, გაოცებული დავრჩი. რეზო ძოძუაშვილი თურმე ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას აკვირდებოდა ბრაზილიის, ინგლისის, გერმანიის და სხვა ნაკრებთა თამაშებს, მწვრთნელობა ტაქტიკური მონახაზები კი ქაღალდზე გადაქონდა — სალდანიას, რაშესის, ბესკოვის და სხვათა ნაფიქრ-ნაზრევს ახლაც ითვალისწინებს მახინა. პოდა, ამის შემსვედეარეშ დიდი ინტერვიუს გაკეთება გადაეწყვიტე. ხამწუხაროდ, ხააბსო დრო ადარ იყო. თუმცა, პოლონეთის თითქმის მესამე შუამდგენლობასთან მარცხის მიზეზებზე საუბარი მაინც მოვახერხეთ.

— ეარსკვლავური ავადმყოფობა ხომ იცით, რას ნიშნავს, ჰოდა, ყველაფერი ამის ბრალია. რომ გვეგონა, პოლონეთის ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით თამაშობს, თანაც მწვრთნელი ახალშეცვლილიაო, ამიტომ წავაგეთ. სანამ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს რაიმე არ ეშველება, იქამდე არაფერი გამოვიცვა ევროპულ გუნდებთან ჭიდილში. კატოვიცეში რა მოხდა? დამეთანხმებით, გოლის გატანამდე ჩვენები ნორმალურად თამაშობდნენ, აქედან მოყოლებული კი ისე დაიბნენ, კაცი ვერ იფიქრებდა, ისეთი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები თუ თამაშობდა, როგორიც ჩვენი გუნდია. ფსიქოლოგიური მომენტი? ალბათ ესეც არის. ძალიან უჭირთ ჩვენებს, გატანილი გოლის შემდეგ გადაეწყონ, სხვა ტაქტიკით ითამაშონ და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანონ. არადა, ნაკრების ფეხბურთელებმა კარგად უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ სხვადასხვაგვარ სიტუაციებში.

— პოლონეთში როგორ უნდა მოქცეულიყვნენ?

— როგორ და, ისევ ისე უნდა გაგვეგრძელებინა ურთიერთდაზღვევაზე თამაში, როგორც გოლამდე იყო. როცა იცი, რომ დაცვაში ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს, შედარებით გამოცდილებს შენიშვნები უნდა მიეცათ. ეთქვათ კობიაშვილისთვის — ლევან, ყველაფერი კარგადაა, გოლი შევაგდეთ, ფლანგსაც კარგად აკონტროლებ, მაგრამ დაცვას მეტი ყურადღება მიაქციო. ივივე ეთქვათ კალაძისთვის, რომელიც ეროვნულში პირველად იყო. ბუნებრივია, შეცდომებიც მრავლად ექნებოდა, მაგრამ კახას აკლდა მრჩეველი, რომელიც გაამხნევებდა და საკუთარ ძალაში დაარწმუნებდა.

— კი მაგრამ, მწვრთნელებს ასეთი რამ არ გითქვამთ?

— თამაშის წინ ამაზე ბევრი კი ვისაუბრეთ, მაგრამ როცა მოედანზე ხარ, სიტუაციიდან გამომდინარე უნდა იმოქმედო. დაპროგრამირებული კარგს ვერაფერს გააკეთებ. არ გეგონოთ, თავს ვიმართლებდე, ასეთი ანგარიშით წაგებისას, ბუნებრივია, მწვრთნელებიც დამნაშავენი ვართ. ალბათ რაღაც დავაკელით ბიჭებს, ალბათ, იმის თქმაც, შეიძლება ასეთი მომენტი მოხდეს და შენ, ფეხბურთელო, მეტოქეს ამ ადგილზე უნდა დაუხვდეო. თუმცა, ვიმეორებ, მოედანზე იმპროვიზაციაა საჭირო. ბურთი რომ მარჯვენივაა, შენ კი უსაქმოდ მარცხნივ დარბიხარ, ამას ხომ წინასწარ ვერ გათვლი.

— პოლონელებზე რას იტყვით?

— რა გითხრათ? პოლონელები აბუჩად ავიგდეთ, ამათი უმრავლესობა კი ნაკრებში ახალი მიწვეული გახლდათ და ახალი მწვრთნელისთვის თავიანთი სიძლიერის დამტკიცება სურდათ. მოედანზე არაფერს თაკილობდნენ, ყველანი მაქსიმალურად მობილიზებულნი გავიდნენ. საბოლოოდ კი თავისას მიაღწიეს.

— ხალხი იმასაც ამბობს, პოლონელები იმდენად სუსტები იყვნენ, ჩვენი ახალგაზრდებიც კი მოუგებდნენო.

— სწორედ გუცაევის ბიჭების ჟინი და მონდომება აკლდათ ჩვენებს გასამარჯვებლად. საერთოდ, ახალგაზრდული ნაკრებში ყველა იმიტომ თამაშობს თავისი შესაძლებლობების ზღვარზე. მომავალში პირველ ნაკრებში რომ მოხვდეს. მაგრამ, როცა ეროვნულში მიიწევე და თავში აუვარდება, ყველაზე ცუდი ეგ არის. მოკლედ, ახალგაზრდული ნაკრები როგორმე უნდა გამოვიყენოთ. თუნდაც იმად, რომ მათი სახით კარგი სპარინგ-პარტნიორი გვყავდეს, ჩვენ კი მათთან თამაშს ვერა და ვერ მოვაბით თავი.

— მთელმა გუნდმა ცუდად ითამაშა, მაგრამ მათგან გამოსარჩევი მცველთა უსუსურობა იყო.

— თამაში, საერთოდ, მცველებმა უნდა მოიგონ. თუ ხუთი გოლი გაიტანე და ექვსი გაუშვი, ასეთი დაცვა ან თავდასხმა რად გინდა. ყველაფერი დაცვიდან იწყება, თამაშის ორგანიზაციაც კი. ჩვენებმა კი ვერაფრით გამოიჩინეს თავი. მეტიც — რას აკეთებდნენ, თვითონ არ იცოდნენ. ამათი გამართლება არ შეიძლება, მაგრამ მაინც ვიტყვი — ეს ბოლო მატჩები, ფაქტობრივად, ისე აეწყო, რომ ერთნაირი დაცვის ხაზით ვერასდროს ვითამაშეთ. ხან კობიაშვილი და ლობჟანიძე გვაკლდნენ, ხან შელია, კატოვიცეში ჩიხრაძესაც არ უთამაშია. უთამაშებლად კი ვერ შეთამაშდები. ამას გარდა, ამ ამპლუის კარგ ფეხბურთელთა ნაკლებობასაც განვიცდით.

— რატომ? „სკონტოში“ მოთამაშე სილაგაძე ხომ ახალგაზრდებში ყველასგან გამოიჩევა.

— დიდი ხანია, სილაგაძეს ვაკვირდებით. „უემბლიზეც“ კი ვაპირებდით მის დაყენებას ცხადაძის უთამაშებლობის შემთხვევაში. ინგლისის მერე კი მომენტს ვეძებთ, ძირითადში რომ ვითამაშოთ. პოლონელებთანაც შეიძლებოდა მისი მოწვევა, მაგრამ, მაინც კალაძე ვამჯობინეთ. მომავალში აუცილებლად დავუძახებთ ჩვენთან. მითუმეტეს, სილაგაძის ყოველი ნაბიჯი ჩემთვის ცნობილია, რიგაში ერთად ვართ, ერთად ვცხოვრობთ, ჩემი მეთვალყურეობით ვარჯიშობს და დარწმუნებული ვარ მის საიმედოობაში.

— თავდასხმელთა ნაკლებობასაც განვიცდით? რა გახდა ასეთი, შოთას ერთი კაციც რომ მიეხმაროს.

— რა თქმა უნდა, არის თამაშები, ორი, თუნდაც სამი თავდასხმელით თამაში რომ სჯობს, მაგრამ ისაც გასათვალისწინებელია, რომ ჯამარაული, ქინქლაძე, ქეცბაია, ნემსაძე, მათი თამაშის

ყაიდიდან გამომდინარე, უფრო შემტევი სტილის ფეხბურთელები არიან, დაცვაზე კი ნაკლებს ფიქრობენ. მაგალითად, ქინქლაძეს თითქმის ყველა მატჩის წინ ეუბნება ყიფიანი, უფრო წინ წაიწიე და შოთას მიეხმარეო, მაგრამ უფრო ნახევარდაცვისკენ უჭირავს თვალი, იმიტომ, რომ მიჩვეულია ასე. დრო გავა და ასეც ითამაშებს.

— გასაკვირი ისაა, რომ ნახევარმცველებიც ვერ ამარაგებდნენ პასებით არველაძეს.

— ეგეც მართალია. თუმცა, პირველი ნახევარი საათი ნორმალურად თამაშობდნენ. ალბათ ყველაფერი იმ კლუბებიდან იწყება, სადაც ფეხბურთელები თამაშობენ. ეტყობა, გუნდის მწვრთნელებს აკმაყოფილებთ ამათი ასეთი თამაში. ნაკრები კი სხვა დონეა — ნაკრებში ტოტალურად უნდა ითამაშო — ნახევარმცველმა დაცვასაც და თავდასხმასაც თანაბრად უნდა მიაქციო ყურადღება.

— ფოცხვერიას მიწვევას არ აპირებთ?

— აუცილებლად გავსინჯავთ. თუმცა ამ ბიჭის ნაღდი თამაში ვერ ვნახეთ. როცა ვაკვირდებოდით, სულ ჰაბეკად თამაშობდა და ამასაც ის ნაკლი ჰქონდა, რაც უკვე ვთქვით — დაცვას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვიდრე თავდასხმას. თანაც, ბოლო დროს ტრავმირებული იყო. მოკლედ, ფოცხვერია კარგი მოთამაშე კია, მაგრამ სხვებისგან გამორჩეულია-მეთქი, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი. ასეთი ფეხბურთელის ეროვნულ ნაკრებში უცებ დაყენება კი ცოტა სარისკოა.

— გულშემატკივრებს დამშვიდება სჭირდებათ. ცოტაც და, ქართულ ფეხბურთზე ხელს ჩაიქნევენ. საამისო მიზეზები მრავლადაა, პოლონელებთან თამამმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— გულშემატკივრებთან თავის გამართლება არ შეიძლება. ვერც ვერაფერს ვიტყვი. ყველანი, ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც, დამნაშავენი ვართ. განსაკუთრებით მწვრთნელები, რადგან მოთამაშეები ჩვენს განკარგულებაში არიან და ჩვენ უნდა ვათამაშოთ ისინი ისე, როგორც საჭიროა. თუმცა, მხოლოდ თვითკრიტიკულობაც არ იქნება. ადრე არაერთხელ მითქვამს, ჩვენს ფეხბურთში ბევრი სიბინძურე უნდა გამოიჩიჩქნოს და სანამ ეს არ მოხდება, სანამ სახელი არ დაერქმევა ყველაფერს, არაფერი გვშველება...

მიხიჩასთან საუბარს რომ ვამთავრებდი, ტელევიზიით საფრანგეთის ტურნირის ერთი მატჩის ჩანაწერი მორჩა. ძოძუაშვილმა მითხრა: „აი, ხომ ხედავ, მატჩი დამთავრდა, ახლა მწვრთნელები და ჟურნალისტები დასხდებიან პირდაპირ ეთერში და ისაუბრებენ ამ თამაშის თაობაზე. ყველა თავისას იტყვის და საბოლოოდ ერთ რამეზე შეთანხმდებიან. უცხოეთში, თუნდაც ლატვიაში, ასეა ყველა მატჩის შემდეგ. აქ კი... ნუთუ არ შეიძლება, ერთხელ მაინც დავსხდეთ ერთად და გულახდილად ვისაუბროთ. კი ბატონო, ნუ იქნება მატჩის შემდეგ, სხვა დროს იყოს. თქვენ, ჟურნალისტებმა წამოიწყეთ, მოიწვიეთ მწვრთნელები, სპეციალისტები, გულშემატკივრები და ყოველგვარი ამბიციების გარეშე ვთქვათ ჩვენი სათქმელი“.

კოგა ინასარიძე

ეწყინთ ბოლოს სათბილი ოჯახი?

შეიძინეთ რუსეთ-იტალიის მაკარონის გამოსაშვები დანადგარი.

დახარჯულ თანხას აანაზღაურებთ 2 თვეში

Tel: 72 32 93
64 27 69

საუკეთესო ქართველი „ევროპაში“ დაფასდა

ფოტო ილიეფანოვისგან

საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი თავის მეუღლესთან კატარინასთან და ქალიშვილ ლინდასთან ერთად

ასეთ დაფასებასა და სითბოს, მართალი გითხრათ, არც ველოდი... ჩემი მეუღლე აღფრთოვანებული და გაოგნებულია იმით, თუ რაოდენ ძლიერად ვუყვარარ ჩემს ხალხს... ღმერთმა ქნას, გაისად ეროვნულმა ნაკრებმა სოხუმში ითამაშოს.

ეს სიტყვები საქართველოს 1997 წლის საუკეთესო ფეხბურთელს ეკუთვნის. „სარბიელის“ ტრადიციული გამოკითხვის შედეგად თემურ ქეცბაია ჩვენმა ჟურნალისტებმა საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მიიჩნიეს... ეს მშრალი, უდაბნოთა შორის ყველაზე უდაბური საჰარაში მსუფეევი სიმშრალის ტოლფასი ინფორმაციაა, იმად, რომ...

მანამდე, სანამ წავიდოდა, ყველა მაგიდასთან მივიდა, არ განურჩევია, ვინ უსხდნენ სუფრას — ძლიერნი ამა ქვეყნისა თუ უბრალო მოკვდავნი, ყველას მოესიყვარულა და მოეფერა, თუმცა ამას ყველაზე მეტად თავად იმსახურებდა, თბილი სიტყვა, ავტოგრაფი და ინტერვიუ არავისთვის დაუმადლებია. იმიტომ, რომ, ის ღირსეული და პირველია არა მხოლოდ თავის პროფესიაში — ფეხბურთში, არამედ კაცობაშიც!

საქართველოს წლევანდელი საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონიალი, რომელიც „სარბიელმა“ და ფირმა „ვერტამ“ მოაწყვეს რესტორან „ევროპაში“, გენერალურ სპონსორ „კოკა-კოლას“ ხელდასმით, კინოფილმ „პირველი შერცხლის“ ჯანო კახიძისეული მელოდიით დაიწყო. მუსიკის ჰანგებზე მთავარი გმირი — იასონი გამახსენდა, ავდარში ინგლისელ მეზღვაურებთან მატჩში, და თვალწინ წარმომიდგა კატოვიცეს ატალახებულ მინდორზე მუხლებზე მდგარი თემურ ქეცბაია, რომელიც ჩვენიანებს ჟინიანი ბრძოლისკენ მოუწოდებდა. 14 ივნისის მატჩზე უკვე საკმაოდ დაიწერა და ასეთი რამის დავიწყება არ ღირს თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც თემურმა აღნიშნა, ეს მარცხი ჩვენთვის გაკვეთილი და მომავალი წარმატების საწინდარი იყოსო. მოდით, ცოტა ხნით სევდა დავივიწყოთ, როგორც ეს გუშინდელ საღამოს მოხდა.

„ევროპულ“ საღამოს, რომელსაც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი მამუკა კვარაცხელია და მსახიობი მეგი ტატიშვილი უძღვებოდნენ, „სამეფო“ შამპანური, ტკბილეული, ხილი, „კოკა-კოლა“ და არაფი „რუსთავი“ ავსებდა.

ფოტო ქეთევან ბაძრაძის

გუშინდელი საღამოს უბედნიერესი წყვილი: თემურის მშობლები

მამუკა კვარაცხელიამ „სარბიელის“ გამოკითხვის რჩეულნი — გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, აკაკი დევაძე გაიხსენა, წლევანდელ საუკეთესო ფეხბურთელს წარმატება მიულოცა და „სარბიელის“ პრიზი გადასცა.

„დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას ჩემი დაფასებისთვის, ყოველნაირად ვეცდები და ძალ-ღონეს არ დავიშურებ იმისთვის, რომ ქართველ ხალხს სიხარული მოვგვარო“ — თქვა სამადლობელ სიტყვაში ქეცბაიამ.

ვახტანგ კუციამ თუმურს მეგობრული შარჟი მიუძღვნა, თუმცა კურიოზი აქაც მოხდა. მხატვარმა თემური ფოტოდან დახატა, მაშინ ფეხბურთელს თმები ჰქონდა, ახლა კი — ევროპულ მოდაზე მთლად გადაუპარსავს. შარჟის პარიკმახერი ვერ ვიშოვე და ასეთ სურათს გიძღვნიო — იხუმრა კუციამ.

ყველამ, ქეცბაიას პირველმა მწვრთნელმა იური ბიბლაიამ, რეზო, შოთა და არჩილ არველაძეებმა, ნემსაძემ, შელიამ, პარლამენტარმა მანუჩარ მაჩაიძემ, 12 წლის გალელმა ლტოლვილმა მანუჩარ ჭანტურიამ, რომელსაც თემურმა საქართველოს ეროვნული გუნდის მაისური უსახსოვრა, წლის საუკეთესო ფეხბურთელს აღიარება მიულოცეს და მომავალი წარმატებები უსურვეს. თემურის სიმამრი ფილიპი აღტაცებას ვერ ფარავდა — აქამდე საქართველოში ნამყოფი არ ვიყავი და არც მეგონა, თუ ასეთი ლამაზი და თბილი ქვეყანა იყოო.

ორატორთა გამოსვლებს შორის ყველზე ქართული სიმღერები, რომელთაც ვახტანგ და ანა კუციები, მეგი ტატიშვილი, ეკა თევზაძე ასრულებდნენ. დამწყრეთ თავისი ოხუნჯობით დათო მამაცაშვილი ართობდა. დარბაზში კი სასამოვნო ჰანგების გარდა ყველანაირ სურნელებაც იფრქვეოდა — ეს ფირმა „ორქიდეას“ წყალობა გახლდათ. სასწრაფო დახმარების სამსახურმა „ქველმა“ ექვსთვიანი სადაზღვევო პოლისი გადასცა ქეცბაიების ოჯახს (ღმერთმა მათი დახმარება არ დააჭირვოთ), მაღაზია „ახალგაზრდულში“ კი წლის საუკეთესო ფეხბურთელს თავისი ნება-სურვილით სამოსის უსასყიდლოდ შეძენა შეუძლია. ვახტანგ და ანა კუციებმა ჩვენს ბერძენ მძახლებსა და რძალს ბერძნული სიმღერა მიუძღვნეს.

ფოტო ქეთევან ბაძრაძის

ქეცბაიას მზარს მეგობრები და თანაგუნდელებიც უმშვენებდნენ

წამყვანებმა ექსპრომტული პრესკონფერენციაც მოაწყვეს. ნემსაძის „არსენალში“ გადასვლა ერთ კვირაში გადაწყდება, ისევე, როგორც შოთასი „აიაქსში“. ქეცბაიას მეუღლისადმი დასმულ შეკითხვას, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს მისი ქმრის სამშობლოში საუკეთესოდ აღიარებას, თავად თემურმა უპასუხა: „კრისტინა ბედნიერი და გახარებულია იმით, რომ მე საქართველოში ასე ვუყვარვარ“, თავის მხრივ კი დამინა — თუმცა კეიპროსზეც და საბერძნეთშიც გავხდი ამ ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი, მაგრამ ასეთი სითბო არსად მიგრძნია, მართალი გითხრათ, ამას არც კი ველოდი. ამას დაჯილდოების ცერემონიალისა და თავის ქეიფში ნუ ჩამოგვართმევთ, და რომ ეს ბანალური სიტყვები არაა, ამაში თემურის მამის, ბატონ ვალერიანის თვალებზე აკიაფებულმა ცრემლებმა დამარწმუნა.

ერეკლე ქიკილაშვილი

ტურისტული ფირმა GT

გიწვევთ საბოგზაურო პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებზე დასასწრებად 18 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით. აგრეთვე გეპატიჟებით საბოგზაურო ეგვიპტეში, ინგლისში და ევროპის სხვა ქვეყნებში. დაგეხმარებით ინგლისის და ევროვიზების მიღებაში

თბილისი, ჯავჯავაძის 49ა (ღია სავაჭრო აუზთან)
ტ. 22-19-99 (დღისით), 96-27-20 (საღამოს)

გოდოლა ქეცბაიას ნაცვლად?

გოდერძი ნატროშვილი და თემურ ქეცბაია

ვინ გოდოლა, რა გოდოლაო, გაიკვირვებს მკითხველი და არც გაემტყუნება. „გოდოლა“ 26 წლის თბილისელი გოდერძი ნატროშვილია, სკოლის დამთავრების შემდეგ მხოლოდ მინი-ფეხბურთს რომ თამაშობდა და ერთობ მარჯვედაც, ახლა კი შესაძლოა აეკში გადავიდეს.

ყველაფერი ამ ორი წლის წინ დაიწყო, როდესაც იტალიიდან, მინი-ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევიდან დაბრუნებულმა „გოდოლამ“ „ბაასს“ შემადგენლობაში „მორკინალის“ წინააღმდეგ ითამაშა. მეორე დღეს ელგუჯა გუგუშვილმა დაიბარა და „მორკინალში“ გადასვლა შესთავაზა. „სწორედ ამ კაცის და გუნდის თავკაცების დამსახურებაა, მე რომ ფეხბურთს დავუბრუნდი. თანაც, მინდოდა, მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მაინც ამესრულებინა მისი სურვილი — მეთამაშა დიდ ფეხბურთი“ — ამბობს „გოდოლა“. 1995 წელს დაიწყო დაკარგულის აღდგენა და პირველი წრის ბოლოს გუნდში ჩარიცხულმა წლის ბოლომდე II ჯგუფში 22 გოლი გაიტანა, ზაფხულში კი დათო ყიზილაშვილის დახმარებით, „ბათუმს“ მიერ დაწუნებულმა კეიპროსს მიაშურა. ამ დროისთვის გუგუშვილის გაწვრთნილი ფიზიკურადაც მოლინიერდა და წინაშიც 25 კილოგრამი დაიკლო. კუნძულზე უმაღლეს ჯგუფში გადასულ „აპეპში“ ჩაირიცხა და სხვა გუნდების ყურადღებაც მიიპყრო. მათ შორის ქეცბაიას აეკისა. ბერძნები ქეცბაიას შემცვლელს ეძებდნენ. „გოდოლას“ სანახავად იანვარში „აპეპი“ — „პარალიმნის“ შეხვედრას საგანგებოდ აეკის მეორე მწვრთნელი ტოსკასი დაესწრო.

„რატომ მოგატყუო, იმ დღეს თამაში არც მე გამომივიდა და არც მთლიანად გუნდს — ამბობს ნატროშვილი, — ათენში ჩასულ ტოსკასაც გუნდის თავკაცებისთვის უთქვამს, დიდი ვერაფერი შეილიაო, მაგრამ აეკის მთავარმა სელექციონერმა სტამატიადისმ, ვინაც ჩემი გუნდში ყოფნის იდეა წამოაყენა, თავის ნათქვამს არ გადაუხვია— კიდევ ერთხელ ვნახოთო. საამისოდ კეიპროსს სამკაციანი დელეგაცია გამოეშურა. მაშინ კეიპროსის შარშანდელ ჩემპიონსა და წლევანდელი თასის მფლობელ „აპოელს“ ეხვდებოდით, 2:1 მოვიგეთ და მეც ერთი გოლი შორიდან გავუტანე „აპოელისა“ და კეიპროსის ნაკრების მეკარეს. მას შემდეგ, მაისის შუა რიცხვებამდე აეკიდან არავინ შემხმიანებია და მეც კეიპროსშივე, დერინიას „ანაიენისთან“ გავაფორმე კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, თუ უკეთესი გუნდი არ მიმოწვევს, მათთან ვითამაშებ. მსგავსი კონტრაქტი იანვარში კახა გოგიჩაიშვილმა აელთან გააფორმა. „აპეპში“ პაატა ჯინჭარაძეც თამაშობდა, რომელიც ახლახან ნიჭოზიის „ეთნიკოსში“ გადავიდა.

სწორედ შუაგულ მაისში შემეხმიანა ჩემი და ქეცბაიას მენეჯერი პამპოს კოსტადინიდისი და მითხრა, აეკიდან ფაქსი მიიღე, ბილეთი და ვიზა გამოგიგზავნეს (აბა, საბერძნეთში უვიზოდ ვინ შემოშვებდა, მე ხომ კეიპროსელი არა ვარ) და ორ დღეში ათენში, აეკის ბაზაზე გველოდებიანო. ჩავედი თუ არა, პირველ ორ დღეს გუნდთან ერთად ვივარჯიშე. უზომოდ მადლიერი ვარ თემურ ქეცბაიასი, მისი მხარდაჭერა წუთითაც არ მომკლებია. მესამე დღეს კი ათენის „აპოლონთან“ ტესტ-მატჩი ვითამაშე. შენ წარმოიდგინე, ამ არაოფიციალურ შეხვედრასაც კი უამრავი გულშემატკივარი დაესწრო. ვერ ვიტყვი, იმ დღეს რაც მოვინდომე, ყველაფერი გავაკეთე-მეთქი, მაგრამ საერთო შეფასებით კარგად გამოვიყურებოდი. ოლიმპიაში არ ჩამომართვა და, თამაშის შემდეგ ქეცბაიამ მითხრა — დიდი ხნის უთამაშებელი ამდენს თუ შეძლებდი, ნამდვილად არ მეგონაო. მე მარცხენა ჰავბეკად გამსინჯეს, თემურის მოედნიდან გასვლის შემდეგ კი მის ადგილას, მოედნის შუაში დამაყენეს. უნდა გენახათ, როგორ გააცილეს თემური გულშემატკივრებმა — ფეხზე წამოდგნენ და სიმღერა დაიგუგუნეს — რა მაგარია თავხოტორა ქეცბაიაო — დაახლოებით ასე ყღერდა. ძლიერი რომ არის და ხალხს რომ უყვარს, თავადაც დავრწმუნდი. ჯერ შემთხვევა არ ყოფილა საბერძნეთში, ორჯერ ზედიზედ უცხოელი დაესახელებინოთ საუკეთესოდ. ქეცბაიამ შეძლო და ქომაგთა სიყვარულიც დამსახურა — ქუჩაში ისე ვერ გაიელის, ხალხი არ შემოეხვიოს...

... ტესტ-მატჩის მეორე დღეს აეკის ვიცე-პრეზიდენტმა და გუნდის საქმეების ფაქტორივმა მმართველმა ნიკოს სტრადოსმა ოფისში დამიბარა და გადასვლის თაობაზე მელაპარაკა. საქმე ისაა, რომ ამჟამად აეკში არეულობაა, გუნდი შესაძლოა ახალი პატრონების ხელში გადავიდეს, მწვრთნელიც ახალი მოჰყავთ, მაგრამ ვინ იქნება, ჯერ არავინ იცის. ლაპარაკია რუმინეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ანგელ იორდანესკუზე, წარსულში ცნობილ არგენტინელ თავდამსხმელ მარიო კ

არცერთი სიტყვა ბოლივიაზე

COPA AMERICA

ურუგვაი 2:0 ვენესუელა

ურუგვაი: სიბოლდი, როდრიგესი, მოასი, ლოს სანტოსი, გომესი, სარალეგი, რამირო (აბრუ 60), რეკობა (რომერო 70), დელგადო, სილვა, და სილვა

ვენესუელა: დუდამელი, ეჩენიკი, რეი, ვალენსია, გონსალესი, სოკორო, დიასი, კასტელინი, მირანდა (პაისი 75), მარტინესი, როდალეგა

გოლი: 1:0 რეკობა (26), 2:0 სარალეგი (47)

წინა ტურნირის გამარჯვებულმა ურუგვაელებმა, მიუხედავად პერუსთან სენსაციურად დამარცხებისა, მოიკრიბეს ძალ-ღონე და სამხრეთ ამერიკის უსუსტეს ნაკრებთან გამარჯვებით მეოთხეფინალში გასვლის შანსები შეინარჩუნეს. ცნობილია, რომ მონაწილეთა უმეტესობა „კოპა ამერიკას“ არასერიოზულად მოეკიდა და მეორე შემადგენლობები გააგზავნა საასპარეზოდ. ალბათ, სწორედ ამან განაპირობა, რომ ეს თამაშიც ისეთივე მოსაწყენი და ულიმღამო გამოდგა, როგორც ამ შეჯიბრების რამდენიმე საწყისი მატჩი. ზღვის დონიდან 2 700 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ქალაქ სუკრეში ჩატარებულ შეხვედრას 32 ათასიან სტადიონზე მაყურებელთა მცირე რაოდენობა — 2 000 კაცი დაესწრო, როგორც ჩვეულებრივ დაებედა „კოპა ამერიკას“. სტადიონზე მისულმა გულშემატკივრებმა საათნახევრის განმავლობაში სამად-სამი საბიფათო მომენტი იხილეს, რომელთაგან ორი ვენესუელელების კარის აღებით დასრულდა. ჯერ იყო და, პირველი ნახევრის შუახანს რეკობამ იფეთქა, ვენესუელელ მცველებს აუარ-ჩაუარა და დუდამელს ბურთი ქვეშ გაუძერინა — გოლი მართლაც ბრწყინვალე გამოვიდა. ათ წუთში არბიტრმა ერთობ ემოციური როდალეგა მიაბრძანა გასახდელში. თერთმეტი ვენესუელელი ვერას გახდა და კაცნაკლული რას მოახერხებდა. მართალია, პირველი ტაიმს ასე თუ ისე გაუძლეს, მაგრამ სარალეგმ საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა და მიაღწია კიდეც მიზანს. ამის მერე ტრიბუნები ერთადერთხელ გამოცოცხლდა, როცა სოკორომ 25-მეტრიანი დარტყმის მერე ძელი შეაზანზარა.

AP ლუ ბოდეგს

პერუელთა კარში პირველი გოლის გამტანი ბოლივიელი მარკო ეჩევერი

ბოლივია 2:0 პერუ

ბოლივია: ტრუკო, რომბა, სანდი, კრისტალდო, სორია, ბლანკო (სანჩესი 46), კოიმბრა (გუტიერესი 56), ბალდივიესო, ეჩევერი, ი. კასტილიო (რ. კასტილიო 46), ს. კასტილიო

პერუ: მირანდა, რეინა, რუბოსიო, დულანტო, ტორესი, მუნიოსი, გალანესი, იდალგო, პალომინა (სენსი 57), პალაციოსი (პრადო 55), კომინგესი (კაგერო 65)

გოლი: 1:0 ეჩევერი (45), 2:0 ბალდივიესო (50)

ჰაერნაკლულ დედაქალაქ ლა-პასში მეორედ გამარჯვების შემდეგ მასპინძელთა ნაკრები „კოპა ამერიკას“ პირველი მონაწილე შეიქმნა, რომელმაც მეოთხეფინალში ადგილი დაიბევა. მასპინძელთა გასაკვირად, რომლებიც ლა-პასის „ერნანდო სილასის“ 45 ათასიანი სტადიონის პირთამდე გავსებას ელოდნენ, მატჩს მხოლოდ 10 ათასი ქომაგი დაესწრო, თამაში კი კვლავ უღიმღამო გამოდგა. ბოლივიელთ თურმე კიდევ ერთხელ ელოდათ გაწბილება — თანამემამულე სპორტულმა ჟურნალისტებმა პირი შეკრეს — ჩვენებზე არც წერას და არც რეპორტაჟების გაკეთებას არ ვაპირებთო. თურმე ნუ იტყვით და, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ვენესუელასთან 1:1 დამთავრებული მატჩის მერე ბოლივიელი მობურთალები ჟურნალისტთა კრიტიკამ აღაშფოთა და „კოპა ამერიკის“ წინ შეკრებაზე მყოფებმა ინტერვიუები იუარეს. თქვენზე ნაკლებნი რითი ვართო და ჟურნალისტებმაც აგდებულ ქვას თავი შეუშვირეს. მათი ქიშპობით ყველაზე მეტად რა ძნელი მისახვედრია, გულშემატკივრები დაზარალდნენ.

თამაში ერთობ უხეში გამოდგა. მსაჯს ექვსი ყვითელი და ერთიც წითელი ბარათის ჩვენება მოუხდა (მე-15 წუთზე პერუელმა რეინამ ორთაბრძოლისას ძალა ვერ მოზომა და მიაბრძანეს კიდეც მოედნიდან). პირველი ტაიმის დასასრულს მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში თამაშში შეცვლაზე შესულთაგან ყველაზე მალე გაძევებულმა მარკო ეჩევერიმ (1994 წელს გერმანიასთან) გამოიჩინა თავი და პირველი გოლი გაიტანა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი საჯარიმოში შეჭრილმა ბალდივიესომ კარის დარაჯი მირანდა დაჯაბნა და უპირატესობა ორამდე გაზარდა. მატჩის შემდეგ „ბოავიშტას“ შემადგენლობაში პორტუგალიის თასის მომგებმა ერვინ „პლატინი“ სანჩესმა გულშემატკივრების გასაგონად თქვა, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა გაგახაროთ და კონტინენტის ჩემპიონის სახელი მეორედ დავიგდოთო — ბოლივიამ სამხრეთ ამერიკის პირველობა აქამდე ერთადერთხელ, ისიც შინ მოიგო 1963 წელს. სანჩესს სხვა ბოლივიელებმაც მიბაძეს და მთაც მოუწოდეს ხალხს, მხარი დაეჭირათ. ქომაგთათვის მიმართული ხვეწნა-მუდარა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა მარიო არკმ გააგრძელა და ხალხს მიმართა, მოდით სტადიონზე, თორემ გულშემატკივრობით განთქმულ ბოლივიელებს სულ მოგვეჭრა თავი და ეგაო.

არგენტინა 2:0 ჩილე

არგენტინა: ოხედა, ვივასი, რიხენი, პელეგრინი, რაულ კარდოსო, ბასვდასი (უსაინი 81), საპატა, როდოლფო კარდოსო (ბერტი 69), გალარდო, დელგადო, კალდერონი (კრუსი 81)

ჩილე: კოსიო, გომესი, როხასი, პარაგვაესი, პონსი (მირანდა 55), სალასი, ილაროელი (კორნეხო 54), აკუნია, ვალენსია (რივეროსი 81), ვერგარა, გონსალესი

გოლი: 1:0 ბერტი (85), 2:0 გალარდო (87)

„ჩემმა ტაქტიკურმა სვლებმა გაამართლა. მწამდა, ამ თამაშს მოვიგებდით. სხვაგვარად დიდი უსამართლობა იქნებოდა. ბერტის ყოველთვის მჯეროდა. სერხიო შეცვლაზე ბრწყინვალედ თამაშობს. აკი, გაიტანა კიდეც. სწორედ მისმა გოლმა შექმნა მეორე გოლი. რომ არა სერხიო, ახლა მხოლოდ ორი ქულა გვექნებოდა“ — ამ სიტყვებით დაასრულა მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია არგენტინელთა მწვრთნელმა დანიელ პასარელამ.

მართლაც, ბერტის გოლი რომ არ გაეტანა, შეხვედრას ისეთი პირი უჩანდა, უსათუოდ 0:0 დამთავრდებოდა, მაგრამ ჩილელთა საჯარიმოს მარცხენა კუთხეში მყოფმა თავდამსხმელმა იმარჯვა და თანამემამულეები ახარა. ბერტის გოლმა მეტოქეზე დამღუპველად იმოქმედა, რადგან დაბნეულმა და გულგატეხილმა მცველებმა წუთნახევარში ვერც გალარდო შეაჩერეს და ამანაც კოსიოს მეორედ გამოატანინა კარიდან ბურთი. ეს ორი გოლი არგენტინელთა დიდი ჯაფის შედეგი იყო. ერთ საათზე მეტხანს კარს მიჯაჭვულმა ჩილელებმა თვითონაც რამდენჯერმე კონტრშეტევით უპასუხეს მსოფლიოს ორგზის გამარჯვებულ, მაგრამ ამჯერად უჩემპიონოდ მოასპარეზე გუნდს.

არგენტინელებს მეოთხედფინალში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ლიდერ პარაგვაისთან მოუწევთ ბრძოლა.

ბრაზილია 5:0 კოსტა რიკა

1:0 ჯალმინია (23), 2:0 გონსალესი (33 საკ. კარში), 3:0, 4:0 რონალდო (47, 52), 5:0 რომარიო (60)

კიდევ კარგი, „კოპა ამერიკაზე“ ბრაზილია თამაშობს, თორემ რა ეშველებოდა ამ უსახურ და უდროო დროს ჩატარებულ ტურნირს. პლანეტის ოთხგზის ჩემპიონები ევროპაში არც თუ წარმატებული ტურნეს შემდეგ ამერიკელებს დაერივნენ და აგერ პირველ მეტოქეს — კოსტა რიკას კუდით ქვა ასროლინეს. ბრაზილიის ნაკრების სტუმრობამ ბოლივიელ გულშემატკივართა შორის დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და სანტა-კრუსის „ტაუჩის“ 38 ათასიანი სტადიონი თითქმის გაივსო.

ზაგალოს ბიჭებმა თამაში ზანტად დაიწყეს, ჯერ მსხვერპლის ცოდვილობას უცქირეს, მერე კი, როცა ივრძნეს, კოსტა რიკა გათამამდაო, ამოქმედნენ და უპირატესობაც უმალ თვალსაჩინო გახდეს. მეტოქის რვეცა ჯალმინიამ დაიწყო საჯარიმო დარტყმით, მერე თავგზაბნეულმა ვონსალესმა საკუთარ კარში ჩაჭრა, მეორე ტაიმიდან კი თავდამსხმელთა სუპერ-წყვილმა რონალდო-რომარიომ საქმეს მიხედა და კოსტა რიკა დაჩოქა. ფორვარდთა სამი გოლი ბრწყინვალე ინდივიდუალური შეტევის შედეგი იყო. განსაკუთრებით რომარიომ ივაქაცა. მისი გოლი ჭეშმარიტად ფანტასტიკური იყო.

თამაშის დასასრულს ზაგალომ რომარიო შეცვალა, ამან კი ერთი ამბავი ატეხა. ამის თაობაზე მწვრთნელმა თქვა, რომარიო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და, ცხადია, შეცვლა არ ეპიტნავაო. იმასაც გამოტყდა, რომ თავადაც ერთობ განიცდიდა ამგვარ მომენტს, როცა ფეხბურთს თამაშობდა, მერე დასძინა: რონალდოსთან სხვისი შეწყვილება მწადდა და აბა, რომარიოს გარდა სხვა ვინ უნდა შემეცვალაო.

ეკვადორი 2:0 პარაგვაი

1:0 სანჩესი (72), 2:0 გრაციანი (86)

ბოლივია 2:1 კოლუმბია

1:0, 2:0 ერნანდესი (10, 14), 2:1 რიკარდო (60)

ლაზა ბოდუაძე

AP ხუანრენგან

ურუგვაელი ლუის რომერო ვენესუელელ ელვის მარტინესს გასცდა

ფეხბურთის რუკასთან

ოკეანის ზონის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ფიჯიმ 3:1 მოუგო პაპუა ახალ გვინეას, სოლომონის კუნძულებმა კი ტაიტი სძლია 4:1.

იტალიის სერია A-ში დარჩენაარდარჩენის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა „პიაჩენცამ“, რომელმაც ნეაპოლში 3:1 სძლია „კალიარი“ და 90-იან წლებში სერია B-ში პირველად ჩააქვეითა. მატჩის გმირი პასკუალე ლუზო შეიქნა, რომელმაც ორჯერ აიღო კუნძულელთა კარი. ამ შეხვედრისას გულშემატკივართა შორის ამტყდარ ჩხუბში რამდენიმე კალიარელი ფანი დაჭრეს.

უელსელმა იან რაშმა, შესაძლოა, დატოვოს „ლიდსი“. მას შემდეგ, რაც „ლიდსმა“ „ბოავიშტას“ ჯიმი შეიძინა, ნათელი გახდა, რომ იანს ძირითადში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდება და მანაც დროზე გაცლა არჩია. ლიდსელთა მწვრთნელის ჯორჯ გრემის აზრით, არაა გამორიცხული, იანი კლუბში დარჩეს, ამჯერად მწვრთნელის თანამდებობაზე.

იემენის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის აზიის ზონის მეხუთე ჯგუფში, სან�აში, ინდონეზიის გუნდი მიიღო და 1:1 ითამაშა. ხუთი მატჩის მერე იემენი ჯგუფის ლიდერია.

მაკედონიელი გიორგი ხრისტოვი ბელგრადის „პარტიზანიდან“ ინლისურ „ბარნსლიში“ გადავიდა, კლუბში, რომელიც 110 წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად ითამაშებს პრემიერლიგაში.

საფრანგეთის „ბორდომ“ ახალი სეზონის წინ უკვე მერვე ფეხბურთელი, ბრაზილიის „პარანას“ 21 წლის ნახევარმცველი რიკარდო ლუის ბოელი როდრიგესი, მეტსახელად რიკარდინიო შეიძინა. საჯარიმო დარტყმების ოსტატის რიკარდინიოს ტრანსფერი 2 მილიონი დაჯდა. სანაცვლოდ ბრაზილიელი ოთხწლიან კონტრაქტს დაყაბულდა.

ჰოლანდიის „ფეიენოორდმა“ „ჩელსიში“ წასული ედ დე გუის შემცვლელად უნგრელი ზოლტ პეტრი შეიძინა. 30 წლის პეტრი, ვისაც უნგრეთის ღირსება 40-ჯერ დაუცავს, „ფეიენოორდში“ ბელგიის „შარლერუადან“ გადავიდა.

შოტლანდიის „რეინჯერსი“ იტალელი მეკარის, ექს-პარმელი ლუკა ბუჩის შესყიდვას აპირებს. გლაზგოელებმა მეკარის აგენტი ვიჩენცო რისპოლი უკვე დაითანხმეს ტრანსფერზე. უბრალოდ, კონტრაქტს ბუჩის ხელმოწერაღა აკლია.

იაპონიის ნაკრებმა „კირინის“ თასს გადამწყვეტ მატჩში თურქეთი დაამარცხა 1:0 და ზეიმზე მესამედ ძოეალ ეს ტურნირი. მეორე ადგილზე ხრვატია გავიდა, მესამე კი თურქებს ხვდათ წილად.

ინგლისის „ჩელსიმ“ შეიძინა „ბორდოს“ 26 წლის მცველი ბერნარ ლამბური. ტრანსფერი მილიონნახევარი გირვანქა დაჯდა, თუმცა, სანაცვლოდ ლამბურიმ ლონდონელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფრენკ ლებეფის შემდეგ ლამბური „ჩელსის“ მეორე ფრანგი მოთამაშე იქნება.

მალდივეთის ნაკრებმა მეექვსე შესარჩევი მატჩიც წააგო 0:6 ყირგიზეთთან და მთლიანად შესარჩევ ტურნირში ექვს წაგებულ მატჩში გაუტანელი გოლის სანაცვლოდ საკუთარ კარში 59 გოლი მიიღო, რაც მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში არნახული შემთხვევაა.

ინგლისელი პოლ ინსი ოჯახური პრობლემების გამო იძულებულია, სამშობლოში დაბრუნდეს. მისმა მეუღლემ და შვილმა იტალია ვერ იგუეს და ალბიონს დაბრუნება გადაწყვიტეს. ოჯახის მოსიყვარულე პოლი მათ დასთანხმდა. შესაძლოა, მომავალ სეზონში მან „ლივერპულის“ ღირსება დაიცვას.

არგენტინელმა დიეგო მარადონამ განაცხადა, უახლოეს თვეებში უსაყვარლეს საქმეს დავუბრუნდებიო. დიეგოს თქმით, 13 ივლისს ცნობილი სპრინტერის დონოვან ბეილის ექიმთან მიემგზავრება კანადაში. ის შეურჩევს მომზადების პროგრამას და პროფესიონალურ ფეხბურთს სწორედ ამ რეჟიმის დაცვით დაუბრუნდება.

ჩეხეთის თასის ფინალში პრაღის „სლავიამ“ თანაქალაქელი „ლუკლა“ სძლია 1:0 და ევროთასებზე გასვლა დაიბევა. ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, თუმცა, დამატებითი დროის მე-10 წუთზე კარელ რადამ თასის მომტანი „ოქროს გოლი“ გაიტანა. გამარჯვებულთა მწვრთნელმა ფრანტიშეკ კიარომ თქვა, დღეს ბედი ნამდვილად გვწყალობდაო.

მოზამბიკის ნაკრებმა „კოსყა კასელის“ თასის გათამაშებაში 3:0 სძლია ტანზანია და აპრილში დაწყებულ ჯგუფურ ტურნირს ჩაუდგა სათავეში. მოზამბიკის და ტანზანიის გარდა ამ ასპარეზობაში სამხრეთ აფრიკის კიდევ რამდენიმე ქვეყანა მონაწილეობს.

გერმანიის თასის ფინალში ბუნდესლიგის „შტუტგარტმა“, რომელსაც 1958 წლის შემდეგ თასი არ მოუგია, ბრაზილიელი ჯოვანი ელბერის მე-18 და 52-ე წუთებზე გატანილი ორი გოლის წყალობით 2:0 სძლია მეორე ბუნდესლიგაში წელს გადასული კოტბუსის „ენერგის“, კლუბს, რომელსაც აქამდე თავის ლიგაში 59 თამაში არ წაუგია და თან ფინალის გზაზე სამი ბუნდესლიგელი დაამარცხა.

20 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ავტოგოლით გაიხსნა

თამაშის მეორე წამზე (!) პირველი ჯარიმა დაინიშნა, მერვე წუთზე ერთ-ერთ ფეხბურთელს მაისური ჩამოახიეს, მეცხრეზე პირველი ყვითელი ბარათი დაფიქსირდა, მეათეზე კი მაროკელმა მცველმა საფრი იუსეფმა საკუთარ კარში გოლი გაიტანა — ასე დაიწყო გუშინ 20 წლამდე ფეხბურთელთა მორიგი, მეთერთმეტე ჩემპიონატის პირველი მატჩი მასპინძელ მალაიზიელებსა და მაროკოს შორის.

დღის ეს ერთადერთი მატჩი მაინც სტუმართა გამარჯვებით დასრულდა: გაშვებული გოლიდან ოთხ წუთში სექთური თარიქმა გაათანაბრა, 31-ე წუთზე ხამა ხალიდმა დააწინაურა თავისიანები, მსაჯის მიერ წამატებულ, 93-ე წუთზე კი რამზიმ საბოლოო ანგარიში დაფიქსირა. საინტერესო სხვაც იყო — შეხვედრა უკვე ახალი წესებით ტარდებოდა და მოთამაშეები მეკარეს ბურთს აუტიდანაც კი ვეღარ აძლევდნენ, ეს უკანასკნელი კი ბურთის ექვსწამიანი ფლობით იყო შეზღუდული — აკი დაისაჯა კიდეც ამისთვის მალაიზიელი მეკარე 23-ე წუთზე, მაგრამ მეტოქეს ზედ პენალტის ნიშნულზე დადებული ჯარიმა გამოუყენებელი დარჩა.

რუმინეთი

34-ე ტური. უნივერსიტატია (კრაიოვა) — ფარული 2:3, კინდია — სტიაუა 1:4, დინამო (ბუქარესტი) — ბრაშოვი 2:1, უნივერსიტატია (კლუჟი) — ბაკეუ 0:2, ნაციონალი — ჩახლაული 3:0, სპორტული — ოცელული 0:2, არჯეში — გლორია 2:0, ჟიული — პეტროლული 0:1, პოლიტეხნიკა — რაპიდი (ბუქარესტი) 1:2

საბოლოო ცხრილი

სტიაუა	34	23	4	7	87:40	73
ნაციონალი	34	21	5	8	69:36	68
დინამო	34	18	5	11	56:34	59
ოცელული	34	17	7	10	54:39	58
ბაკეუ	34	16	5	13	43:41	53
ჩახლაული	34	15	7	12	51:50	52
არჯეში	34	14	8	12	46:37	50
რაპიდი	34	13	9	12	45:41	48
პეტროლული	34	13	7	14	48:43	46
ფარული	34	14	4	16	46:52	46
უნივერს. (კრ.)	34	12	7	15	48:52	43
სპორტული	34	12	6	16	36:52	42
გლორია	34	11	8	15	38:45	41
ჟიული	34	12	5	17	33:61	41
უნივერს. (კლ.)	34	11	6	17	52:67	39
კინდია	34	11	5	18	32:55	38
პოლიტეხნიკა	34	10	5	19	45:65	35
ბრაშოვი	34	9	5	20	42:61	32

ესპანეთი

XXXXI ტური

რეალი 3:1 ატლეტიკო
1:0 რაული (36), 2:0 ივრო (43), 3:0 მიატოვიჩი (56), 3:1 ვსნაიდერი (64)

ესტრემადურა 2:0 სელტა
1:0 პინედა (51), 2:0 სილვანი (85)

ვალიადოლიდი 1:0 ერკულესი
1:0 ქუევედო (33 პ)

სპორტინგი 3:0 რაიო
1:0 ერვასი (8), 2:0 ჩერიშევი (77), 3:0 ალექსი (90)

ვალენსია 2:1 ოვიედო
1:0 ლეანდრო (12), 1:1 ოლი (33), 2:1 კარპინი (70)

სევილია 3:1 ესპანიოლი
1:0 ცარტასი (30), 2:0 ულიდა (56), 3:0 ცარტასი (77), 3:1 უვდეკი (78)

ლოგრონიესი 1:1 რასინგი
1:0 მანუელ მარტინესი (13), 1:1 ალბერტო ლოპესი (79)

კომპოსტელა 1:2 სოსიედადი
1:0 კრისტიანსენი (73), 1:1 გარსია (87), 1:2 ალდეონდო (90)

ტენერიფე 3:3 სარაგოსა
1:0 ჩანო (13), 1:1 დანი (16), 1:2 პოიტი (31), 2:2, 3:2 ნვეილი (58, 78), 3:3 იგერა (90)

ბარსელონა 3:0 ბეტისი
1:0 ოსკარი (43), 2:0 სტოიჩკოვი (75), 3:0 ლუის ენრიკე (83)

ბილბაო — დეპორტივო წუხელ გაიმართა

რეალი	41	27	11	3	85:32	92
ბარსელონა	41	27	6	8	100:47	87
დეპორტივო	40	20	14	6	56:29	74
ბეტისი	41	20	14	7	79:46	74
ატლეტიკო	41	20	11	10	76:61	71
ვალიადოლიდი	41	18	10	13	57:44	64
ბილბაო	40	15	16	9	69:54	61
სოსიედადი	41	17	9	15	48:46	60
ვალენსია	41	15	11	15	61:56	56
ტენერიფე	41	14	11	16	66:57	53
რასინგი	41	11	17	13	51:50	50
სარაგოსა	41	12	14	15	57:63	50
კომპოსტელა	41	12	14	15	49:64	50
სპორტინგი	41	13	10	18	45:63	49
ესპანიოლი	41	13	9	19	48:55	48
ოვიედო	41	12	11	18	49:65	47
სელტა	41	11	13	17	47:54	46
რაიო	41	13	6	22	42:60	45
ესტრემადურა	41	11	11	19	35:63	44
სევილია	41	11	7	23	46:68	40
ერკულესი	41	11	5	25	37:75	38
ლოგრონიესი	41	9	6	26	32:83	33

ბომბარდირები

რონალდო (ბარსელონა)	34
ალფონსო (ბეტისი)	25
შუკერი (რეალი)	24
რივალდო (დეპორტივო)	21
ოლი (ოვიედო)	20
ლუის ენრიკე (ბარსელონა)	17
სიგანდა (ბილბაო)	17
ოჰენი (კომპოსტელა)	17

მეორე დივიზიონი

38-ე ტური: ბადახოსი — ატლეტიკო B 4:4, მალიორკა — ვილიარეალი 2:0, ალავესი — სალამანკა 0:4, ლევანტე — ბარსელონა B 4:0, ეიბარი — ოსასუნა 1:1, ლერიდა — ესიხა 4:0, ტოლედო — ლას პალმასი 0:3, ალმერია — ორენსე 1:3, ლეგანესი — ალბასეტე 2:1, რეალი B — მერიდა 4:0

საბოლოო ცხრილი

მერიდა	38	21	9	8	57:30	72
სალამანკა	38	20	11	7	72:33	71
მალიორკა	38	20	10	8	59:38	70
ალბასეტე	38	19	9	10	51:32	66
ეიბარი	38	17	15	6	44:26	66
ბადახოსი	38	15	15	8	37:26	60
ლას პალმასი	38	13	13	12	54:46	52
ლეგანესი	38	13	13	12	43:39	52
ლევანტე	38	13	11	14	53:46	50
ლერიდა	38	12	12	14	48:41	48
ვილიარეალი	38	13	9	16	38:52	48
ატლეტიკო B	38	12	11	15	57:61	47
ალავესი	38	12	11	15	43:47	47
ტოლედო	38	12	9	17	37:53	45
ოსასუნა	38	11	11	16	34:42	44
ორენსე	38	11	11	16	35:45	44
ალმერია	38	9	14	15	39:51	41
რეალი B	38	11	8	19	40:69	41
ბარსელონა B	38	7	13	18	40:63	34
ესიხა	38	7	9	22	27:63	30

მერიდა და სალამანკა გაიისად უმაღლეს დივიზიონში ითამაშებენ, ხოლო მალიორკა გადათამაშებაში გაარკვევს თავის ბედს.

REUTERS მაგიერდგან

ჩემპიონთა ბომბარდირი დავორ შუკერი.

ზეობა და პანაშვიდი

ზოგჯერ ასეც ხდება, კაცს დიდი, ნანატრი სიხარული უცბად ჩაშხამდება. სწორედ ასე დაემართა ესპანეთის უტიტულოვანესი გუნდის — მადრიდის „რეალის“ ყველა წევრს, როცა ჩემპიონობისადმი მიძღვნილი დროსტარების მეორე დღეს თავიანთი დირექტორის ალფონსო დელ კორალის ექვსი წლის ვაჟშვილის, ალვაროს ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი შეიტყვეს. საბრალო ბავშვს, ზუსტად იმ დღეს, როცა „რეალი“ ესპანურ საფეხბურთო ოლიმპს იპყრობდა, მანქანის სადგომის კარები დასცემია. მართალია, იგი საავადმყოფოში დროულად გააქანეს, მაგრამ ბავშვს სიცოცხლე ვერც ექიმებმა შეუნარჩუნეს. მოკლედ, კვირას, შუადღისას, სიხარულის ნაცვლად უზომოდ დანაღვლიანებული მთელი „რეალი“ პანაშვიდზე მიდიოდა. არადა, რა ბედნიერები იყვნენ შაბათს საღამოს...

თამაშამდე უძლიერესი იტალიელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო აცხადებდა, „ატლეტიკოსთან“ თვით ფრეც კი არასასურველი შედეგი იქნებაო. იგი თავის ბიჭებს მოგებას უკიჟინებდა და შეგირდებმაც ისმინეს მწვრთნელის შეგონებანი, ბრწყინვალედ ითამაშეს და ქვეყნის პირველობის დასასრულამდე ტურით ადრე მადრიდის „რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონატში 27-ედ იმარჯვა. თან ვისთან, დაუძინებელ თანაქალაქელ მტერ „ატლეტიკოსთან“. რეალელებმა ბრწყინვალე „სანტიაგო ბერნაბეუზე“. შეკრებილი ასი ათასამდე ფანი პირველად 36-ე წუთზე გახარეს, როცა „ატლეტიკოს“ საჯარიმოში მყოფმა მასპინძელთა უძლერესმა თავდამსხმელმა რაულმა მოხერხებულად ჩამოიშორა მეურვე და უმაღლესი დონეზე შესრულებული ფინტეაგერ ვიმარჯვეთ კიდეც „რეალი“ ბრწყინვალე გუნდია. იგი ღირსია ესპანეთის ჩემპიონობისა. მე კი გამარჯვებას მეუღლეს მივუძღვნიდი, რომელიც ძალიან მიყვარს“ — მხოლოდ ეს განაცხადა კაპელომ პრესკონფერენციაზე, მერე კი მოზეიმე რეალელებს შეუერთდა. სანამ ანტიჩი და სხვა ატლეტიკოელები დარბაზში შერჩენილ რამდენიმე ჟურნალისტის კითხვებს უპასუხებდნენ, კაპელო და კომპანია შამპანურით წუწაობდა. საღამოს გამოწყობილი რეალელებით სავსე ავტობუსი მადრიდის ქუჩებში გავიდა, სადაც მას დაახლოებით მილიონამდე სიხარულით აღტკინებული გულშემატკივარი შეეგება. როგორც იქნა, ავტობუსმა „სიბელესის“ შადრევანს მიაღწია. ადგილს, სადაც მადრიდის „რეალი“ ტრადიციულად აღნიშნავს გაჩემპიონებას. ფეხბურთელების დანახვაზე ხალხი შადრევანს მიაწყდა, მაგრამ პოლიციელთა კარგად ორგანიზებულმა კორდონმა მათ გზა გადაუღობა, ფეხბურთელები კი ამ დროს შადრევანზე დაძვრებოდნენ.

REUTERS მაგიერდგან

რაულმა იშვიათი სილამაზის გოლი გაუტანა მოლინას

ბი გოლით დააგვირგვინა. „რეალის“ ფანებს მეორე გოლამდე ცდა მხოლოდ შვიდი წუთი მოუწიათ — სტანდარტული სიტუაციების დიდოსტატმა ფერნანდო იერომ ყუმბარისებური დარტყმით საჯარიმო გოლად აქცია, რითაც ცხადი გახადა, რომ იმ დღეს სამეფო კლუბის „ატლეტიკოზე“ ზეობას ძეხორციელი ხელს ვერ შეუშლიდა. გულშემატკივართა გასახარად, „რეალი“ არც ორბურთიანი უპირატესობის შემდეგ დაცხრა. მის ხშირ-ხშირ შეტევას კიდევ ერთი გოლი მოჰყვა: ჰოლანდიელი ზეედორფის ჩინებული პასით მიატოვიჩმა საჯარიმოს მისადგომებთან ცარიელ კარში ზუსტად დაარტყა. ერთადერთი, რაც მეტოქემ შეძლო, ეს ესნაიდერის პრესტიჟის გოლი იყო. მსაჯის საფინალო სასტვენმა ევროპას „რეალის“ ჩემპიონობა ამცნო. „სეზონის დასაწყისშივე ვაცხადებდი, რომ „რეალში“ მხოლოდ ჩემპიონობისთვის მოვედი. სხვა ადგილი სრულიადაც არ დამაკმაყოფილებდა. მუხლჩაუხრელმა შრომამ შედეგი გამოიღო. ჩვენ ჩემპიონები ვართ. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ამას ველოდით და ლიგა მას პრინცად აღიარებსო.

ლაზა გოდუაძე

იტალია

სერია B

38-ე ტური: ბარი — დი სანგრო 3:1, ბრეშია — ვენეცია 3:1, ჩეზენა — ლეჩე 0:3, კიევო — ფოჯა 1:1, კოზენცა — ლუკეზე 1:1, კრემონეზე — ემპოლი 0:1, ჯენოა — პალერმო 4:1, პესკარა — პადოვა 1:2, სალერნიტანა — რეჯინა 0:3, ტორინო — რავენა 0:4

ბრეშია	38	18	12	8	49:34	66
ემპოლი	38	17	13	8	45:34	64
ლეჩე	38	16	15	7	52:39	63
ბარი	38	15	17	6	52:35	62
ჯენოა	38	15	16	7	58:31	61
პესკარა	38	14	12	12	50:38	54
კიევო	38	12	18	8	44:40	54
რავენა	38	14	13	11	43:35	52
ტორინო	38	13	11	14	45:48	50
რეჯინა	38	12	13	13	40:42	49
ფოჯა	38	11	15	12	40:40	48
პადოვა	38	11	15	12	41:43	48
ვენეცია	38	10	16	12	47:49	46
ლუკეზე	38	10	15	13	36:44	45
სალერნიტანა	38	10	14	14	30:44	44
დი სანგრო	38	12	8	18	29:45	44
კოზენცა	38	9	14	15	44:55	41
ჩეზენა	38	9	13	16	36:45	40
პალერმო	38	6	17	15	40:55	35
კრემონეზე	38	7	11	20	30:55	32

ბრეშია, ემპოლი, ლეჩე და ბარი გაისად სერია A-ში ითამაშებენ. სერია B დატოვეს კრემონეზემ, პალერმომ, ჩეზენამ და კოზენცამ.

დანია

33-ე ტური. ოლბორგი — კოპენჰაგენი 0:1, ორხუსი — აკადემიკი 2:1, ჰერფელგე — ბრონდბიუ 1:2, ჰვიდოვრე — ოდენსე 4:3, ლუნგბიუ — ვაილე 1:1, ვიბორგი — სილკებორგი 0:2

საბოლოო ცხრილი

ბრონდბიუ	33	20	8	5	64:39	68
ვაილე	33	14	12	7	57:38	54
ორხუსი	33	14	10	9	75:51	52
ჰერფელგე	33	15	7	11	46:42	52
ოლბორგი	33	12	11	10	46:40	47
სილკებორგი	33	10	15	8	51:55	45
ოდენსე	33	11	8	14	59:61	41
კოპენჰაგენი	33	10	11	12	35:43	41
ლუნგბიუ	33	10	10	13	50:61	40
აკადემიკი	33	8	12	13	56:62	36
ვიბორგი	33	6	11	16	31:58	29
ჰვიდოვრე	33	5	11	17	39:59	26

ინგლისი

მე-13 ტური: ეფერტონი — ლესტერი 1:1, შინიკი — დერბი 0:0, ნორთჰემპტონი — ლოკომოტივი 1:1, როტორი — ტიუმენი 5:2, ზენიტი — კრილია 0:0, კამაზი — როსტსელმაში 3:2, სპარტაკი — ნიჟნი ნოვგოროდი 1:0, ცსკა — ბალტიკა 1:1, ტორპედო — ფაკელი 4:2

სპარტაკი	13	8	4	1	22:6	28
როტორი	13	8	3	2	23:10	27
დინამო	13	8	2	3	15:6	26
ტორპედო	13	6	2	5	21:16	20
როსტსელმაში	13	5	5	3	13:10	20
ჟემჩუჟინა	13	5	5	3	8:6	20
ლოკომოტივი	13	4	6	3	17:15	18
ჩერნომორეცი	13	4	6	3	12:12	18
ალანია	13	5	2	6	18:13	17
კრილია	13	5	2	6	7:12	17
ზენიტი	13	4	4	5	7:12	16
ბალტიკა	13	3	7	3	13:11	16
კამაზი	13	5	0	8	15:25	15
ცსკა	13	4	3	6	10:15	15
შინიკი	13	3	6	4	9:15	15
ნ.ნოვგოროდი	13	4	2	7	6:13	14
ტიუმენი	13	2	4	7	9:17	10
ფაკელი	13	2	1	10	5:17	7

პორტუგალია

34-ე ტური. პორტუ — ჟილ ვისენტე 3:0, ბოავიშტა — სპორტინგი 2:1, გიმარაეშში — ბრაგა 0:0, ფარენსე — სალგეირუში 1:1, ბელენენსეში — ბენფიკა 1:0, ლეცა — სეტუბალი 0:2, მარიტიმუ — ლეირია 2:0, ესპინიუ — ამადორა 2:1, რიუ ავე — შავეში 0:0

საბოლოო ცხრილი

პორტუ	34	27	4	3	80:24	85
სპორტინგი	34	22	6	6	55:19	72
ბენფიკა	34	17	7	10	49:30	58
ბრაგა	34	15	10	9	39:40	55
გიმარაეშში	34	15	8	11	51:46	53
სალგეირუში	34	14	10	10	49:48	52
ბოავიშტა	34	12	13	9	62:39	49
მარიტიმუ	34	13	8	13	39:38	47
ამადორა	34	12	11	11	39:38	47
შავეში	34	12	10	12	39:45	46
ფარენსე	34	10	12	12	34:34	42
სეტუბალი	34	10	10	14	38:42	40
ბელენენსეში	34	10	10	14	37:50	40
ლეცა	34	9	9	16	33:42	36
რიუ ავე	34	8	11	15	35:42	35
ესპინიუ	34	9	6	19	27:56	33
ლეირია	34	8	6	20	25:53	30
ჟილ ვისენტე	34	4	7	23	29:74	19

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

რუსეთის ჩემპიონატი. XIV ტური

18 ივნისი

ალანია — შინიკი	1,15	4,7	8,0
0:1	1,5	3,2	3,5
როტორი — ჟემჩუჟინა	1,2	4,2	7,5
დინამო — ტორპედო	1,8	2,8	3,4
ლოკომოტივი — კამაზი	1,2	4,2	7,5
ბალტიკა — ზენიტი	1,7	2,8	4,0
ნოვგოროდი — ჩერნომორეცი	1,8	2,9	3,3
როსტსელმაში — ცსკა	1,8	2,8	3,4
ტიუმენი — კრილია სოვეტოვი	1,8	2,8	3,4
ფაკელი — სპარტაკი	5,0	3,3	1,4

კოპა ამერიკა

17 ივნისი

ჩილე — ეკვადორი	4,0	3,1	1,6
არგენტინა — პარაგვაი	1,6	3,0	4,2

18 ივნისი

ვენესუელა — პერუ	10,0	5,0	1,1
ბოლივია — ურუგვაი	1,8	3,0	3,2

იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი

17 ივნისი

ურუგვაი — ბელგია	1,9	2,9	3,0
საფრანგეთი — ბრაზილია	4,4	3,2	1,5
ჩინეთი — აშშ	2,8	2,9	2,0

18 ივნისი

იაპონია — ესპანეთი*	6,5	3,4	1,3
კოსტა რიკა — პარაგვაი	4,0	2,8	1,7
უნგრეთი — არგენტინა*	6,5	3,4	1,3
ავსტრალია — კანადა	1,4	3,3	5,0
მექსიკა — საემიროები*	1,8	2,8	3,4
კოტ დივუარი — ინგლისი	6,5	3,4	1,3

*აღნიშნულ მატჩებზე ფსონების მიღება მთავრდება 17 ივლისს.
18 ივლისს დადებული ფსონები გაუქმდება
(მატჩები იწყება 14.30 სთ-ზე თბილისის დროით)

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იერიონის“ შენობაში,
პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲠᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ 1997. II ᲞᲠᲔᲛᲘ

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ	4:2	ᲑᲣᲚᲝᲜᲘ
ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ	0:1	ᲑᲐᲢᲘᲡᲢ ᲚᲔᲠᲣᲐ
�გᲘᲝᲠ�გᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ	1:1	ᲘᲝᲜ ᲡᲣ ᲘᲐᲜᲘ
ᲖᲐᲖᲐ �გᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ	2:1	ᲟᲘᲚ ᲡᲞᲐᲟᲘᲐᲠᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲓᲐᲠᲐᲘᲐ	2:2	ᲐᲚᲕᲐᲠᲝ ᲞᲐᲡᲔᲘᲠᲝ
ᲡᲝᲡᲝ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ	3:2	ᲞᲐᲡᲙᲐᲚ ᲟᲝᲖᲔᲤ-ᲠᲝᲖᲔ
�გᲘᲐ �გᲣ�გᲐᲕᲐ	4:2	ᲔᲠᲘᲙ ᲤᲐᲠᲣ
ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ	4:2	ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤ ᲑᲐᲠᲢᲔᲡᲘ

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲡᲛᲝᲚᲘᲜᲘ, ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲢᲠᲝᲤᲘᲛᲝᲕᲘ, ᲘᲒᲝᲠ ᲢᲘᲛᲝᲤᲔᲔᲕᲘ (ᲧᲕᲔᲚᲐ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘ)

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲛᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲙᲝᲠᲢᲜᲐ

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲠᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ "ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲐ" ᲮᲝᲠᲒᲐᲢᲘᲘᲡ "ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲐᲩᲙᲐ ᲑᲐᲜᲙᲐ" ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ — 5:2, ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲐᲗ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ "ᲜᲐᲨᲔ ᲞᲝᲙᲝᲚᲔᲜᲘᲡ" ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲒᲔᲡ — 4:3. ᲠᲣᲡᲗᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲫᲘᲣᲓᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲛ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲐ "ᲑᲣᲚᲝᲜᲘᲡ" ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲑᲠᲔᲘᲣᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲚᲐᲓᲜᲘᲓᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲫᲘᲣᲓᲝᲡ ᲨᲔᲨᲐᲒᲔᲑᲘᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲠᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲪᲮᲐᲕᲝ — ᲑᲝᲚᲝᲡᲘ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲘᲮᲐ ᲑᲠᲔᲘᲝᲜᲛᲐ. ᲐᲠᲪ "ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘᲡ" ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ �გᲣᲠᲐᲛ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔ ᲘᲧᲝ ᲣᲛᲘᲛᲓᲔᲒᲝᲓ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲩᲔᲛᲑᲘᲐ, ᲣᲗᲣᲚᲝᲓ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲑᲗᲝᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲪᲮᲐᲕᲝ — ᲑᲝᲚᲝᲡᲘ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲘᲮᲐ ᲑᲠᲔᲘᲝᲜᲛᲐ. ᲐᲠᲪ "ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘᲡ" ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲪᲮᲐᲕᲝ — ᲠᲣᲡᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲑᲠᲔᲘᲣᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲚᲐᲓᲜᲘᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲒᲝᲜᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲝᲔᲒᲝ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲗ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲡ. ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲙᲝᲩ ᲐᲠᲗᲕᲐ. ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲑᲐᲗᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲪᲐᲓᲐ, ᲙᲚᲐᲕᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲤᲐᲜᲓᲘᲗ ᲓᲐᲐᲪᲠᲝ ᲚᲔᲠᲣᲐᲡ ᲬᲐᲥᲪᲔᲯᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲪᲮᲐᲕᲝ ᲤᲐᲜᲓᲗᲐᲜ ᲓᲐᲐᲭᲘᲠᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘ, ᲓᲐᲐᲢᲠᲘᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲖᲐᲠᲘ ᲛᲘᲘᲗᲕᲐᲚᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲡ ᲘᲠᲗᲝᲜ ᲗᲣ ᲣᲨᲕᲔᲚᲘᲐ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲬᲣᲗᲖᲔ ᲝᲓᲔᲜᲐᲕ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲚᲔᲠᲣᲐᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲨᲣᲓᲔᲒᲝ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲪᲔᲛᲘᲗ. ᲛᲔᲢᲘ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲢᲐᲡ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲛᲞᲘᲡ ᲓᲐᲐᲒᲓᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲒᲝᲜᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲝᲔᲒᲝ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲗ ᲨᲔᲣᲢᲐᲡ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘᲡ. ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲪᲐᲓᲐ, ᲙᲚᲐᲕᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲤᲐᲜᲓᲘᲗ ᲓᲐᲐᲭᲘᲠᲐ ᲚᲔᲠᲣᲐᲡ ᲬᲐᲥᲪᲔᲯᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲪᲮᲐᲕᲝ ᲤᲐᲜᲓᲗᲐᲜ ᲓᲐᲐᲭᲘᲠᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘ, ᲓᲐᲐᲢᲠᲘᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲖᲐᲠᲘ ᲛᲘᲘᲗᲕᲐᲚᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘᲡ ᲘᲠᲗᲝᲜ ᲗᲣ ᲣᲨᲕᲔᲚᲘᲐ. ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲪᲐᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲓ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲫᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲨᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲪᲔᲛᲓᲐ, ᲣᲪᲔᲑ ᲒᲐᲐᲪᲠᲐᲕᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ 3 ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲒᲪᲔ. ᲡᲐᲛᲬᲣᲗᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ "ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲐᲩᲙᲐ ᲑᲐᲜᲙᲐᲡ" 65-ᲯᲘᲚᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲒᲝᲠ ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲘᲩᲘ 38 ᲬᲐᲛᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲘᲡᲘᲪ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲜᲔᲑ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘ ᲘᲝᲜ ᲡᲣ ᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ. ᲬᲘᲠᲘᲚᲗᲝᲗᲐᲕᲚᲐᲑᲐ ᲩᲐᲭᲘᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲬᲘᲜ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲐ, ᲗᲣᲠᲛᲔ 6 ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲓᲐ ᲔᲥᲕᲘᲡᲘᲗ ᲘᲐᲠᲜᲘᲗ. „ᲛᲐᲒᲐᲡ ᲕᲐᲮᲐᲕᲐ ᲒᲐᲐᲜᲔᲢᲠᲐᲚᲔᲑᲡ" — ᲗᲐᲕᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲗᲝᲮᲠᲐ ᲛᲫᲘᲛᲔᲬᲝᲜᲝᲡᲐᲜᲛᲐ ᲨᲔᲣᲠᲔᲯᲐᲚᲘ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲖᲐᲮᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲣ ᲘᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲗᲐᲐᲠᲫᲚᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲐ „ᲑᲣᲚᲝᲜᲘᲡ" ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲑᲠᲔᲘᲣᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲚᲐᲓᲜᲘᲓᲐ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲒᲝᲜᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲝᲔᲒᲝ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲗ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘᲡ. ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲪᲐᲓᲐ, ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲐ „ᲑᲣᲚᲝᲜᲘᲡ" ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲑᲠᲔᲘᲣᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲚᲐᲓᲜᲘᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲒᲝᲜᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲝᲔᲒᲝ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲗ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘᲡ. ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲪᲐᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲐ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲓᲐᲐᲪᲠᲝ ᲚᲔᲠᲣᲐᲡ ᲬᲐᲥᲪᲔᲯᲐ — ᲡᲝᲡᲝᲛ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ. ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲛ ᲕᲔᲠᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲘᲧᲕᲐᲡ ᲡᲝᲡᲝᲛ ᲤᲣᲮᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲐᲙᲔᲚᲘ. ᲛᲘᲡᲐᲯᲔᲑᲘ, ᲘᲠᲝᲜᲘᲝ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲔᲯᲐᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲢᲐᲢᲐᲛᲨᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲐᲢᲐᲪᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲜᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲠᲗᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲔᲚᲚᲝᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲕᲘ ᲨᲔᲣᲠᲔᲯᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲕᲘᲒᲘᲧᲝᲚᲘᲗ. ᲞᲐᲡᲔᲘᲠᲝ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲡ. ᲩᲕᲔᲜᲒᲔ ᲒᲔᲣᲩᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ. ᲘᲡᲘ, ᲐᲚᲐᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲘᲒᲝ ᲒᲣᲒᲐᲕᲐᲛᲘ, — ᲓᲐᲡᲙᲘᲜᲓᲐ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ „ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ": ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ, ᲡᲝᲡᲝ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲓᲐᲠᲐᲘᲐ, �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲔᲠᲓᲘᲐ �გᲣᲒᲐᲕᲐ (ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ), ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ, �გᲣᲠᲐᲛ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔ (ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ), ᲖᲐᲖᲐ �გᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲐ �გᲣᲒᲐᲕᲐ

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲔᲡ-ᲔᲡᲐᲐ ᲘᲐᲠᲝᲜᲖᲔ ᲓᲐᲡᲪᲐ ᲘᲝᲜ ᲡᲣ ᲘᲐᲜᲘ

ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲣᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲓᲐ ᲢᲐᲢᲐᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲔᲚᲚᲝᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲐᲢᲐᲢᲘᲢ ᲚᲔᲠᲣᲐ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲠᲘᲖᲘᲠᲘᲐ, ᲛᲔᲢᲐᲓ ᲞᲔᲠᲡᲠᲔᲥᲢᲘᲣᲚ ᲫᲘᲣᲓᲝᲡᲢᲐᲗ ᲘᲗᲕᲚᲘᲗ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ — "ᲑᲣᲚᲝᲜᲘ" ᲛᲝᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗᲝ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲕᲘ ᲨᲔᲣᲠᲔᲯᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲝᲜᲐ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲜᲓᲔ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲔᲑᲘᲝᲗ. ᲘᲡᲘ, ᲐᲚᲐᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲘᲒᲝ ᲒᲣᲒᲐᲕᲐᲛᲘ, — ᲓᲐᲡᲙᲘᲜᲓᲐ.

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲡ „ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘᲡ" ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲔᲒᲝᲜᲐᲗ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲐᲙᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲪᲜᲝᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ "ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ" ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲘᲜᲯᲐᲚᲐᲨᲘ ᲘᲡᲞᲐᲠᲔᲖᲐ. 40 ᲬᲐᲛᲨᲘ ᲘᲐᲠᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲤᲠᲐᲜᲒᲡ. ᲟᲝᲖᲔᲤ-ᲠᲝᲖᲔᲛ ᲔᲡ 40 ᲬᲐᲛᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ�გᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲓᲚᲐ, ᲮᲐᲜ ᲢᲐᲢᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲠᲑᲝᲓᲐ, ᲮᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲙᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲐ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲛᲐᲮᲔᲠᲮᲐ — ᲡᲝᲡᲝᲛ ᲙᲣᲗᲮᲘᲨᲘ ᲛᲘᲘᲛᲬᲧᲔᲓᲘᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ. ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲛ ᲕᲔᲠᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲘᲧᲕᲐᲡ ᲡᲝᲡᲝᲛ ᲤᲣᲮᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲐᲙᲔᲚᲘ. ᲛᲘᲡᲐᲯᲔᲑᲘ, ᲘᲠᲝᲜᲘᲝ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ. „ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ" ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ — 1:0.

65 ᲙᲒ. �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲢᲐᲢᲐᲛᲖᲔ ᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲢᲐᲛᲘ ᲓᲐᲡᲪᲮᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲠᲗᲛᲐ-ᲝᲠᲛᲐ ᲥᲝᲛᲐᲒᲛᲐ ᲣᲐᲛᲧᲝᲤᲘᲚᲝᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲐ „ᲑᲣᲚᲝᲜᲘᲡ" ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲑᲠᲔᲘᲣᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲘᲡᲘᲪ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲜᲔᲑ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘ ᲘᲝᲜ ᲡᲣ ᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ. ᲬᲕᲠᲘᲚᲗᲝᲗᲐᲕᲚᲐᲑᲐ ᲩᲐᲭᲘᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲛ ᲡᲪᲝᲓᲜᲝᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲐᲡ ᲠᲐ ᲡᲯᲝᲑᲘᲐ, ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲓ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲫᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲨᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲪᲔᲛᲓᲐ, ᲣᲪᲔᲑ ᲒᲐᲐᲪᲠᲐᲕᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ 3 ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲒᲪᲔ. ᲡᲐᲛᲬᲣᲗᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ „ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲐᲩᲙᲐ ᲑᲐᲜᲙᲐᲡ" 65-ᲯᲘᲚᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲒᲝᲠ ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲘᲩᲘ 38 ᲬᲐᲛᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲘᲡᲘᲪ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲜᲔᲑ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘ ᲘᲝᲜ ᲡᲣ ᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ Მ

ქარიშხალში ჰიმალაიზე

ცნობილმა ალპინისტმა ჯორჯ მელორიმ კითხვაზე, რატომ ვინდათ ჯომოლუნგმაზე ასვლა, ასე უპასუხა: „იმიტომ, რომ ის არსებობს“. და მართლაც, არ არსებობს მთამსვლელი, ვისაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა არ სურდეს. ჩვენ უკვე გვყავს ერთი თვისტომი — რომან გიუტაშვილი. რომელმაც დედამიწის უმაღლეს წერტილზე დაადგა ფეხი. ბოლო ხანს ქართველები სხვა რვაათასიანებსაც გაუშინაურდნენ, წელს კი ერთბაშად სამმა მიიტანა იერიში ევერესტზე.

ჯომოლუნგმაზე ასვლები წელს მეტად დრამატულად წარიმართა და ტრაგედიაც ბევრი იყო. ამიტომ ინტერესი ჰიმალაის წლევანდელ სამთამსვლელო გაზაფხულზე ძალზე დიდია. დღეს რუსთაველი მთამსვლელის ბენო ქაშაკაშვილის ნაამბობს გაგაცნობთ.

— ჰიმალაიზე ასვლის სეზონი გაზაფხულზე კულმინაციას აღწევს. უფრო სწორედ, ამ დროისთვის იგეგმება მწვერვალზე შეტევები. გვსურდა, სხვებთან ერთად კი არა, ეროვნული ექსპედიციის სახელით ავსულიყავით, მაგრამ ეს დიდ ფინანსურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული და საბოლოოდ სამკაციანი ექსპედიცია გამოგვივიდა: მე, აფი გიგანი და ერთიც შერპი. თავდაპირველად კატმანდუში კი ჩავედით, მაგრამ მერე ჯომოლუნგმაზე ასვლის ნებართვა ჩინელთაგან და ჩინეთის მხრიდან აკიღეთ. ეს ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ნეპალის მხრიდან ექსპედიცია. ევერესტზე კლასიკური — ჩრდილოეთის მარშრუტით ვაპირებდით ასვლას. ჩვენთან ერთად კიდევ თექვსმეტი ექსპედიცია უტევდა უმაღლეს მწვერვალს. ყველაზე მოზრდილი ყაზახეთის ჯგუფი იყო — 20-კაციანი საუკეთესო ალპინისტებით დაკომპლექტებული გუნდი. იყო ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ექსპედიციებიც — ფრანგებს ორკაციანი და ბელგიელებს სამკაციანი გუნდი ჰყავდათ. სხვათა შორის, ყველაზე წარმატებული სწორედ ფრანგების გუნდი აღმოჩნდა — ორივე თამამსვლელი ავიდა ჯომოლუნგმაზე. ჩვენ ორი საბაზო და სამი სასიმაღლო ბანაკი გავმართეთ, ბოლო — 8200 მეტრზე. ისე გვქონდა დაგეგმილი, რომ მე ჟანგბადით უნდა ავსულიყავი, აფი კი — უჟანგბადოდ და საერთოდ, ამ ექსპედიციისთვის გამოცდილებაც საკმარ გვქონდა და ალპინისტური მომზადებაც. პამირზე და ტიანშანზე არაერთ შვიდათასიანზე ვყოფილვარ, აფის კი რვაათასიანიც აქვს დაპყრობილი — დჰაულაგირზე იყო. ასვლის წინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი გავითვალისწინეთ — სიცივე, თოვლი, ასვლის სირთულე და ბევრი სხვა რამ, მაგრამ იმას, რაც იქ დატრიალდა, არ ველოდით — ნამდვილ ქარიშხალთან მოგვიხდა ბრძოლა. საკმარისია ითქვას, რომ ძლიერმა ქარმა ორჯერ გაანადგურა ჩვენი სასიმაღლო ბანაკები. ტრაგედიაც დატრიალდა: სულ ამ შეტევისას ექსპედიციებს ცხრა ალპინისტი დაეღუპათ. ყაზახეთის უძლიერესმა ჯგუფმა, რომლის 10 კაციც ავიდა ევერესტზე, დაბრუნებისას სამი მთამსვლელი დაკარგა. უნდა ითქვას, რომ 17 ექსპედიციიდან მხოლოდ 16-მა კაცმა დაიპყრო ევერესტი, რაც ძალზე დაბალი შედეგია. ქარიშხალმა ექსპედიციის წევრები ფსიქოლოგიურად დათრგუნა. როგორი საქმეა, ყოველდღე ვიღაცის დაღუპვა, უფრო სწორად, ბანაკში არდაბრუნება შეიტყო. თუმცა, მიუხედავად აუტანელი პირობებისა, ბოლო მომენტამდე ველოდით გამოდარებას — უკვე 8200 მეტრზე ვიყავით, 600 მეტრიღა გვქონდა დარჩენილი და უკან დახევა გვეძნელებოდა. მაგრამ ეს საშინელი ქარი 55 დღე გაგრძელდა და ექსპედიციებმაც შეტევები სამომავლოდ გადადეს. სამ ყაზახ მთამსვლელს სწორედ მაშინ უწია ქარმა და სიკვდილმა, როცა ყაზახეთის ექსპედიციას ჯომოლუნგმა უკვე დაპყრობილი ჰქონდა. მოკლედ, რაც უნდა მძიმე ყოფილიყო ჩვენი გადაწყვეტილება, ამჯერად ევერესტი დაუპყრობელი დაგვრჩა. უკმაყოფილო მაინც არ ვარ — გარკვეული გამოცდილება მივიღე, შთაბეჭდილებები ხომ ბევრზე ბევრია. ტიბეტში, ამ ღმერთისგან მივიწყებულ ადგილას, ისეთი გამხდარი და შიმშილისგან მისაკვთებული ხალხი ვნახე, რომ მთ ადამიანებად ვერც აღიქვამ. ნეპალის მხარეს კი საყოფაცხოვრებო პირობები ბევრად უკეთესია. მოკლედ, ჰიმალაის შევეჩვიე და ასე იოლად თავს არ დავანებებ.

ახლა იმასაც გეტყვით, როგორ ვცდილობთ ალპინისტები ჩვენი მიზნების მიღწევას. ალპინიზმი ხომ საკმაოდ ძვირი სპორტია. ორი წლის წინ რუსთაველი კლუბი „ალპინდუსტრა“ გავხსენით. მატერიალური ბაზის შექმნაში რუსთაველი საწარმოები „აზოტი“ და „მეტალურგი“ დაგვეხმარნენ — არა უშუალოდ ფინანსებით, არამედ სამუშაო ადგილებით. ამ საწარმოებში ერთი წლის მუშაობით ექსპედიციისთვის საჭირო თანხები შევაგროვეთ, შემდეგ სხვა კომერციულ სტრუქტურებიც გაერთიანდით. ამ კლუბის მუშაობა გარკვეულად წარმატებულიც იყო — სამკაციანი ექსპედიციით ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლეს მწვერვალზე, მაკკინლიზე ავედით, ეს შედეგი თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონატზე გავაგზავნე და სასიმაღლო კლასში მეორე ადგილიც მოვიპოვეთ. გარკვეულწილად გაგვიმართლა კიდეც, რომ სხვებს უფრო მნიშვნელოვანი ასვლები არ ჰქონდათ, მაგრამ ურიგო შედეგი მაინც არ არის ამის შემდეგ კავკასიონზე ურთულესი, ჩეტნის კედელი გავიარეთ. ეს ბოლო ხუთ წელიწადში მხოლოდ სამმა გუნდმა შეძლო და ამ შედეგმა ტექნიკურ კლასში ვერცხლის მედლები მოგვიტანა, მხოლოდ ყაზახეთის ძლიერმა გუნდმა გაგვასწრო. სამაგიეროდ, ხარკოველთა ძლიერი გუნდი ჩამოვიტოვეთ.

წარმატებები წარმატებებად, მაგრამ ეს არ უნდა ვიკმაროთ. მრავალრიცხოვან ექსპედიციებს პროფესიონალი მთამსვლელები ჰყავთ, სამკაციანი ექსპედიციისთვის კი ასვლა უფრო რთულია. ზემოთაც ვთქვი, ქარმა ორჯერ სასიმაღლო ბანაკი გაგვანადგურა-მეთქი. უფრო მეტი რომ ვყოფილიყავით, ბანაკის აღდგენა გაგვიიოლდებოდა. ასვლის წინ მოსკოველი მთამსვლელებისგან მივიღეთ მიწვევა, მაგრამ ჩვენ წარმატების მოპოვება საქართველოს და რუსთაველის სახელით გვსურს.

საბოლოოდ, შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. თუ მწვერვალს ვერ დაიპყრობ, რა სიმაღლეზეც არ უნდა ახვიდე, ეს სათვალაში ჩასადებიც არ არის. 600 მეტრი გვაშორებდა მწვერვალს — ერთი დღის სავალი ჰიმალაებში, ერთი დღე კი მთამსვლელებისთვის საკმაოდ დიდი დროა. ხელი კი მოგვეცარა, მაგრამ აქედან ტრაგედიას არ ვქმნით — ასეთი რამ ყველა ექსპედიციას და ყველა მთამსვლელს შეიძლება დაემართოს, მით უმეტეს, ისეთ პირობებში, როგორიც წელს დაგვხვდა ჰიმალაებში. ჯომოლუნგმაზე ასვლა კი კვლავ რჩება ჩვენს ოცნებად.

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა ვუთხრა კავკასიის რეგიონის „ლუფთგაზის“ წარმომადგენლებს, ეარ-ჯორჯიას, რუსთაველ საწარმოებს „მეტალურგსა“ და „აზოტს“, რუსთაველ სპორტკომიტეტს და სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებს, ყველას, ვინც ამ ექსპედიციის მომზადებაში მატერიალურად და მორალურად დაგეხმარა“.

ილია მხეიძე

ჯორდანი — იუტა 4:2

NBA. ფლეი-ოფის ფინალი

13 ივნისი. ჩიკაგო

ჩიკაგო — იუტა 90:86

(17:23, 20:21, 27:26, 26:16)

ჩიკაგო: პარპერი (2), ჯორდანი (39), პიპენი (23), როდმანი (1), ლონგლი; ვილიამსი (4), კუკოჩი (9), კერი (9), კეფი, ბიუჭლერი (3), ბრაუნი

იუტა: სტოქტონი (13), პორნაჩეკი (18), რასელი (17), მალონი (21), ოსტერტაგი (1); ვისლი (6), ფოსტერი, კარი (2), ანდერსონი (8), მორისი

ყოველგვარი სენსაციის გარეშე „ჩიკაგომ“ „იუტას“ მეექვსე მატჩი მოუგო და შვიდ წელიწადში მეხუთედ მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონობა. თუმცა გადამწყვეტი გამარჯვება „ხარებმა“ მეტად რთულ და მძიმე ბრძოლაში მოიპოვეს. თითქმის მთელი თამაში სტუმრები წინ იყვნენ და აშკარად სჯობდნენ მეტოქეს. ჩიკაგოელთაგან მხოლოდ ჯორდანი და პიპენი აგროვებდნენ ქულებს (ამ ორნე მოდის მთელი გუნდის მონაგრის 70 პროცენტი), ხოლო იუტელთა სასტარტო ხუთეულიდან, ოსტერტაგის გარდა, ყველა აწიოკებდა მასპინძელთა დაცვა. ზოგჯერ „ვაზამენების“ უპირატესობა 10 ქულასაც კი აღწევდა.

მესამე მეთხუთედის მიწურულს „იუტა“ 70:61 იგებდა და ამ დროს უეცრად „ვაისროლა“ ჩიკაგოელმა ბიუჭლერმა, რომელმაც სამქულიანი ჩაგდო. სხვათა შორის, ეს ბიუჭლერის ერთადერთი სროლა გამოდგა. ასე იყო თუ ისე „ხარები“ [illegible] ლი განწყობილებით გამოვიდნენ და ხელნელა ინიციატივა [illegible] თხედის მეორეს [illegible] ლად დაწინაურდნენ — 74:73 და დაიწყო ნერვების ომი, როცა მეტოქეებმა ორქულიან უპირატესობაზე მეტს ვერ მიაღწიეს. ამ სერიის ყველა მატჩის მსგავსად, კვანძი აქაც ბოლო წამებზე გაიხსნა. დამთავრებამდე 1,44 წუთით ადრე იუტელმა რასელმა თავისი მეხუთე სამქულიანი ჩაგდო და წინასწორობა აღადგინა — 86:86. ამის შემდეგ, ერთი წუთის განმავლობაში, მოედანზე უცნაური ამბები ხდებოდა: ამ მონაკვეთში იუტელებმა მელონმა და ანდერსონმა, ხოლო ჩიკაგოელთაგან ჯორდანმა, როდმანმა და პიპენმა (ორჯერ) ვერ გამოიყენეს ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა.

ბოლოს და ბოლოს, ჩიკაგოელთა მორიგი შეტევისას ჯორდანმა, რომელიც, როგორც წესი, თავად ასრულებდა ხოლმე გუნდის იერიშებს ბოლო წამებზე, უეცრად კერს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა კი ყოველგვარი წინააღმდეგობისა და აღელვების გარეშე კალათში ჩაუშვა ბერთი. დარჩენილ წამებში „იუტამ“ ვერაფერი მოახერხა, ჩიკაგოელმა კუკოჩმა კი ეფექტური ჩატენვით წერტილი დაუსვა მატჩს, სერიასა და ჩემპიონატს.

1997 წლის ფლეი-ოფის ფინალის უძვირფასეს მოთამაშედ მიკელ ჯორდანი დასახელეს. ამ კაცს მეხუთედ მოიპოვა ეს ტიტული.

AP ფოტო/ეს

სტივ კერის გადამწყვეტი სროლა

ჯორდანი (მარცხნივ) და პიპენი ჩემპიონის თასით

ფორმულა 1 — VII ეტაპი — კანადის ბრან-პრი

ავარიებზე მონრეალში

კვირას ჟაკ ვილნევის გამარჯვების მოლოდინმა მონრეალის ტრასაზე 100 ათასზე მეტი მაყურებელი შეკრიბა, მაგრამ კანადელ გულშემატკივრებს სასტიკად გაუცრუვდათ იმედი — რბოლა, რომელიც ოლივიე პანის ავარიის გამო დაგეგმილზე 15 წრით ადრე შეწყდა, შუმახერის გამარჯვებით დასრულდა.

შაბათს, კვალიფიკაციის დასასრულამდე 30 წამით ადრე, მაყურებელთა გასახარად, ვილნევი ლიდერობდა — 1.18, 108, მაგრამ „მფრინავი წრის“ დასასრულს კანადელს პირველი სასტარტო პოზიცია შუმახერმა წაგლიჯა. მის მიერ ბოლო წრეზე ნაჩვენები დრო — 1.18, 095 საუკეთესო აღმოჩნდა, მესამე ადგილი „სტიუარტის“ პილოტს ბარიჩელოს ერგო — 1. 18, 388.

სტარტიდან პირველი შუმი დაიძრა, ვილნევი მე-2 იყო, ამ დროს მე-6 პოზიციაზე მყოფი ფიზიკელა წინ მდგომთა შორის გაძვრა და მე-3-ზე გავიდა, მას ალეზიც მიჰყვა და მე-4 ადგილზე აღმოჩნდა. ბარიჩელომ კი თავისი მე-3 სასტარტო ადგილი ვერაფერში გამოიყენა და პირველი მოსახვევიდან მე-8 გამოვიდა.

მეორე წრეზე, მოსახვევში შესვლისას ვილნევმა ვერ მოახერხა ბოლიდის დამორჩილება, ბარიერს შეეჯახა და კანადელ მაყურებელს თანამემამულის გამარჯვების სამომავლო იმედიღა დაუტოვა.

მე-2 პოზიციაზე ფიზიკელამ გადაინაცვლა. ორიოდე წრის შემდეგ კატაიამა ბარიერს შეასკდა. ტრასაზე პეის-კარი გამოვიდა და მეცხრე წრემდე კარნახობდა რბოლის ტემპს. რე სტარტის შემდეგ პირველი ექსესუული — მ. შუმახერი, ფიზიკელა, ალეზი, კულჰარდი, რ. შუმახერი და ფრენცენი — მჭიდროდ შეჯგუფდა. ამ პერიოდში შუმახერი 14 წამს უგებდა ფიზიკელას.

პიტ-სტოპების პირველ სერიის შემდეგ პირველობა კულჰარდს დარჩა. ივი კიდევ უმატებდა ტემპს და პიტ-სტოპისთვის მარაგის შექმნას ცდილობდა. ბოქსებში შესვლის შემდეგ პირველობა შუმახერს გადააბარა, მაგრამ კვლავ პოტენციურ ლიდერად რჩებოდა — შუმახერი კვლავ ბოქსებში იყო შესასვლელი და 9-წამიანი მარაგი პირველობის შენარჩუნებისთვის არ კმაროდა. ასეც მოხდა — შუმი ბოქსებს ესტუმრა, ლიდერობა კი კულჰარდს დარჩა. შუმახერი მესამედაც შევიდა ბოქსებში და საბურავები შეცვალა. კულჰარდის პოზიციას თითქოს აღარაფერი ემუქრებოდა და სწორად შერჩეულ ტაქტიკას (ერთი პიტ-სტოპი) და დიდ სისწრაფეს სეზონში მეორე გამარჯვება უნდა მოეტანა შოტლანდიელისთვის, მაგრამ დაუგეგმავად ბოქსებში შესვლა დასჭირდა, იქიდან დაძვრისას კი ძრავი ჩაუქრა და პირველობაზე ოცნებას გამოეშვიდობა.

ზუსტად ამ დროს პანიმ მოსახვევში შესვლისას დაამუხრუჭა, მარჯვენა წინა ბორბალი გაუჩერდა, ბოლიდი მობზრიალდა, ბეტონის ბარიერს შეეჯახა, გაცურდა და საბურავების „ჯაბირში“ შეერჭო, მარშლებმა პანი ბოლოდიდან ხელში ატაცებული ამოიყვანეს და ექიმებს გადააბარეს.

ტრასაზე პეისკარი გამოჩნდა, მალე წითელი ალმებიც გამოფინეს, რბოლა შეწყდა. კარგა ხნის შემდეგ მოწინავენი პიდიუმზე მოიწვიეს. შუმიმ წელს მეორე რბოლა მოიგო, ალეზი მეორეზე გავიდა, ფიზიკელა — მესამეზე

ოლივიე პანის კი ორივე ფეხის მოტეხილობა აღმოაჩნდა და მინიმუმ სამი თვე დარჩება რბოლების გარეშე.

ალეკო ბაგუაძიანი

რბოლის შედეგები

დისტანცია 54 წრე — 238, 334 კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 1:17.40, 646
(182, 442 კმ-ხთ) 10 ქულა
2. ალეზი (ბენეტონ-რენო) 6 ქულა
3. ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო) 4 ქულა
4. ფრენცენი (უილიამს-რენო) 3 ქულა
5. პერბერტი (ზაუბერ-ფერარი) 2 ქულა
6. ნაკანო (პროსტ-მუგენ-ჰონდა) 1 ქულა
7. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი)
8. დინიცი (ეროუს-იამაჰა)
9. ჰილი (ეროუს-იამაჰა)
10. მორბიდელი (ზაუბერ-ფერარი)

რბოლას გამოეთიშნენ

51 წრე პანი (პროსტ-მუგენ-ჰონდა)
46 წრე სალო (ტირელ-ფორდი)
42 წრე ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი)
35 წრე ვურცი (ბენეტონ-რენო)
33 წრე ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი)
32 წრე ტრული (მინარდი-ჰარტი)
14 წრე რ. შუმახერი (ჯორდან-პეჟო)
5 წრე კატაიამა (მინარდი-ჰარტი)
1 წრე ვილნევი (უილიამს-რენო)
0 წრე ირვინი (ფერარი)
0 წრე მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი)
0 წრე ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი)

პარადი პირველობა: 1. შუმახერი 37 ქულა; 2. ვილნევი 30; 3. პანი 15; 4. ირვინი 14; 5-6 ფრენცენი, ალეზი 13-13; 7. კულჰარდი 11; 8-9 ბერგერი ჰაკინენი 10-10; 10. ფიზიკელა 8; 11 ჰერბერტი 7; 12. ბარიჩელო 6; 13. რ. შუმახერი 4; 14. სალო 2; 15-16 ნაკანო, ლარინი 1-1.

გუნდური პირველობა: 1. ფერარი 51; 2. უილიამსი 43; 3. ბენეტონი 23; 4. მაკლარენი 21; 5. პროსტი 16; 6. ჯორდანი 12; 7. ზაუბერი 8; 8. სტიუარტი 6; 9. ტირელი 2.

ხსოვნის ტურნირი

ახლახან ვარკეთილის სტადიონზე დამთავრდა აფხაზეთში დაღუპულ მორაგბეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 1981-82 და 1985-86 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის. ღონისძიება პარლამენტის თავმჯდომის რაინის სადეპუტატო ბიურომ, რაგბის კავშირმა და თავმჯდომის გამგეობის სპორტკომიტეტმა მოაწყვეს.

უფროსებში ოთხი გუნდი მონაწილეობდა და ადგილები ასე განაწილდა: I — „ყოჩები“, II — „აკადემია“, III — „ლელო“, IV — „დინამო“.

უმცროსებში პირველობა არავის დაუთმო „ხულიგანამ“, „ყოჩები“ აქ მეორენი იყვნენ, „აკადემია“ — მესამე. „ლელო“ და „დინამო“ საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ.

ტრაგედია დეტროიტში

შაბათს სტენლის თასის მფლობელი დეტროიტელების რუსი მცველები კონსტანტინოვი და ფეტისოვი, აგრეთვე გუნდის მასაჟისტი მნაცაკანოვი ავტოავარიაში მოჰყვნენ. კონსტანტინოვს თავს მძიმე ტრავმა მიიღო და კრიტიკულ მდგომარეობაშია, ფეტისოვი კი უფრო მსუბუქად დაზარალდა — მკერდის არეში ტრავმით და ფილტვების დაჟეჟილობით „გადარჩა“.

დაზარალებულთა ლიმუზინი

ლომები აფრიკაში

VII თამაში. 14.06. დურბანი. ნატალის ზვიგენები 12 (9) (4ს: ლოლისი) — ბრიტანელი ლომები 42 (16) (3ლ: თაუნზენდი, ქეთი, დალალიო; 3გ და 6ს: ჯენქინსი; ა: თაუნზენდი). მსაჯი მეევესენი (აღმ. კონცხი)

აქიერიდან უტვინოდ!

„ლომებმა" ზე-12-ული ბერმუდის სამკუთხედის ბოლო ორი წვერო უზიფათოდ გავლეს: ჩრდ. ტრანსვაალთან წაგების შემდეგ ჰაუტენჰიგ დამარცხეს და ნატალიც, აფრიკული ქარრის თასის ბოლო ორი წლის მფლობელი და წლევანდელი ზე-12-ის ნახევარფინალისტი რომაა.

ერთი ეგაა, რომ ბრიტებს ამიერიდან აღარ ეყოლებათ გუნდის ტვინი და აფრიკელი ფანდერვესტპოიზენის ღირსეული მეტოქე, უელსელი 9 ნომერი რობ ჰაული, ვისაც ნატალთან თამაშის მე-13 წუთზე ბეჭი ისე ეღრძო, რომ საოპერაციო გაუხდა და თავადაც შინ გასაგზავნი შეიქნა.

„ლომებმა" ამ ტურნეზე ამგვარად მოისაკლისეს მეოთხე დაშავებული მოთამაშე და ჰაულის შემცვლელად შინიდან იხმეს ინგლისელი ქიარან ბრაქენი. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „ლომების" დანარჩენი შერკინების ნახევარმცველები — ოსთინ ჰილი და მეთ დოუსონიც ინგლისელები არიან, კაცი უნებურად გაიფიქრებ, ბრიტანეთის სხვა ქვეყნებში გონიერი, სხარტი და ალღოიანი დირიჟორები ალბათ გამოლეულანო.

რაკი შაბათს ქეიფათუნში „ლომებისა" და აფრიკელი „ჭურიკიკების" პირველი ტესტია, შუა კვირის მატჩი ოთხშაბათის ნაცვლად დღეს, ველინგთონში გაიმართება „ნორჩ ჭურიკიკებთან". შემდეგ სატესტო კვირებშიც ასე იქნება — ბრიტთა მეორე შემადგენლობა საბოლოოდ გამოიკვეთება და სამშაბათობით ითამაშებს.

„ჭურიკიკებს" სატესტო გუნდი უკვე შეგულვებული ყავთ და მის წევრებს სერიალისთვის ინახავენ. ამის გამო იყო, რომ ნატალსაც აკლდა ერთბაშად ექვსი მენაკრებე.

„ლომებმა" წინა მატჩებზე ბევრად უკეთესად ითამაშეს და მასპინძელთა უპირველესი პროვინციაა ბოლო ათ წელში უდიდესი სხვაობით ძლიეს. უელსელმა ნილ ჯენქინსმა 11 დარტყმით 9 გოლი შეაგდო და 24 ქულა მოიხვეჭა, რითაც უფროსობას შეახსენა, რომ მის გარეშე „ჭურიკიკებთან" გაჯიბრება ერთობ სარისკო იქნება.

ზე-12-ის უპირველესმა დამრტყმელმა გეკინ ლოლისმა ოთხიდან ოთხი საჯარიმო შეაგდო. ნატალიც ერთი პირობა 6:3 დაწინაურდა, მაგრამ მერე შოტლანდიელმა გრეგორ თაუნზენდმა ერთი წუთის ინტერვალით ჯერ არეკნი გაიტანა, მერე კი ლელოც. მეორე ნახევარში ჯენქინსმა ანგარიში 28:12-მდე გაზარდა, თამაშის დასკვნით ათწუთიანში კი „ლომებმა" საბოლოოდ გატეხეს ნატალი და ორი ლელოც გაუტანეს.

ლომები: ჯენქინსი; ევანსი, ბეითმენი (ქეთი), გიბსი, თეითი; თაუზენდი, პაული (დოუსონი) — სმითი (ლენარდი), ვუდი, იანგი; ჯონსონი (კპპ), შოუ; დალალიო, რ. ჰილი, მილერი

„ლომთა" 9 ნომერ რობ ჰაულისთვის ტურნე პირველ ტესტამდე დასრულდა, მენეჯერი ფრენ ქოთონი კი მაინც იმედიანადაა და ტესტ-სერიის მოგებას გეგმავს

როიტერი დურბანიდან

მხოლო ტესტი. 14.06. ოლბანი. ახალი ზელანდია 71 (45) (11ლ: ვილსონი 5, ქალენი 2, მ. ჯოუნზი, მარშალი, უმაგა, რაიქლმანი; 8გ: მერთენსი 6, ქალენი 2) — ფიჯი 5 (5) (ლ)

ვიდრე ახალ ზელანდიას ჩავიდოდნენ, შვიდკაცას ჯადოქარმა ფიჯელებმა პარიზში, „ერ-ფრანსის" საერთაშორისო ტურნირი მოიგეს. შარშან ეს შეჯიბრი ოქტომბერში გაიმართა, წელს კი თუმც ისევ უნივერსიტეტის „შარლეტის" სტადიონსა უმასპინძლა, გაზაფხულის ბოლო უქმეებზე მოეწყო.

შარშანდელის დარად 24 გუნდი მონაწილეობდა. 19 ეროვნული ნაკრები იყო, ხუთი — ბარბაროსული. ამათგან ყველაზე ცნობილმა „ბრიტანელმა ბარბაროსებმა" სამი ფიჯელი ჩაიხიეს — ვონნოვონო, დოვიერატა და თვით მარიკა ვუნიბაკაც (!)

ფიჯს ისევ დიდი ვაისალე სერევი კაპიტნობდა. მულლაზანზარელებმა ჯგუფში 68:0 ძლიეს რუმინეთი, ფრანგ ბარბაროსებს კი 47:17 მოუგეს. მერე, თასის გათამაშებაში ფიჯმა ზედიზედ გაგდო სამოა 40:14, არგენტინა 36:15 და ახალი ზელანდიის ბარბაროსები 33:7 (ფინალში). ლანგარი (IX ადგილი) მოიგეს ფრანგმა ბარბაროსებმა, ლარნაკი (XVII ადგილი) — გერმანიამ.

დიდ რაგბში ფიჯი ისე ვერ ვარგა, როგორც შვიდკაცაში. ეს თვით 1987 წლის ანტი-ინდური პუტჩის მოთავემ, პოლკოვნიკმა სითივენი რაბუკამ აღიარა, ვინაც სახელმწიფო ვიზიტი თამაშს საგანგებოდ დაამთხვია. ფიჯის ახლანდელი პრემიერ-მინისტრისა და თავადაც ძველი მორაგების აზრით, კუნძულელებს ზელანდიელთაგან ჯერაც ბევრი აქვთ სასწავლი, რაც მატჩმაც დაადასტურა — მასპინძელმა „ოლ ბლექსმა" სეზონის პირველი ტესტის პირველი ნახევარი უზადოდ ითამაშა და მეტოქე ფაქტობრივად უბურთოდ დატოვა.

ზელანდია: ქალენი; ვილსონი, ბანსი, სთენსენი, უმაგა; მერთენსი, მარშალი — დაუდი, ფითსპატრიკი (კპპ), ბრაუნი; რ. ბრუქი, ი. ჯოუნზი; მ. ჯოუნზი, კრონფელდი, რენდელი (მაკლეოდი, ტონუუ, კარტერი)

საქართველოს პირველობა

ზღვის ნვრილმანებზე ვერ მორიგდნენ

ხუთშაბათს „აზოტმა" „გუმარი" 18:11 ძლია. პარასკევს VI ტურის დანარჩენი ორი მატჩიც უნდა გამართულიყო, მაგრამ ორივე გაცდა.

ქუთაისის „გელათი" თბილისში არ ეწვია „ყოჩებს". ლიდერებმა მუქთი ორი ქულა მიითვალეს, „გელათს" კი უეჭველად ერთი ქულა დაექვითება.

რკინიგზის „ქორები" უნდა წვეოდნენ ქუთაისის „აიას", ოღონდ არა რიონის პირად, არამედ მთიან გურიაში — ჩოხატაურში. მიზეზი „აიას" სტადიონის სამი თამაშით დისკვალიფიკაციაა. ამ ხნის მანძილზე ქუთაითურებს „მამა-ქალაქიდან" 50 კილომეტრის რადიუსში თამაში ეკრძალებათ, თანაც სტუმარს ჩვეულებრივზე შორს მგზავრობის დამატებითი ხარჯი უნდა უზღონ. ასე წერია რაგბის კავშირის განაჩენში.

კი წერია, მაგრამ „აია" და „ქორები", ეტყობა, დეტალებზე ვერ მორიგდნენ, რაკი თბილისელებს გურიაში ღამის თევით მოუწევდათ გამგზავრება. ამის გამო თამაში არ გამართულა. მის ახალ ვადას კავშირი მონაწილეებთან სათანადო კონსულტაციების გამართვის შემდეგ უთუოდ გამოაცხადებს.

ზვალიდან I წრის ბოლო, სულ კი VII ტურია. წრის მშვენება-მატჩი ზეგ, ხუთშაბათს გაიმართება. „ქორები" უმასპინძლებენ „ყოჩებს", რომლებმაც 7 ივნისს გარდამავალი „სარბიელის სინი" „გუმარს" წაგვარეს. თუ რკინიგზელები პოლიტექნიკოსებს სინზე გამოიწვევენ, ეს ამ ჯილდოს 14-მატჩა მატიანეში პირველი შემთხვევა იქნება, როცა გთამაშება „უგუმაროდ" ჩაივლის, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამერისა და სრულიად საქართველოს რაგბშიც ლიდერები იცვალნენ!

ა ჯგუფი	თ	მ	ფ	წ	ბ	ლ	ქ
ყოჩები	5	5	0	0	153: 46	18- 4	10
აზოტი (რ)	6	5	0	`1	145: 46	20- 1	9
ქორები	4	3	0	1	74: 37	10- 2	6
აია (ქ)	4	2	0	2	81: 42	9- 1	4
ასპ	5	2	0	3	59:158	7-25	4
გელათი (ქ)	5	0	0	`5	24:135	2-21	-1
გუმარი	5	0	0	``5	40:113	2-12	-2

ტრავმამოშუშებულმა „ოქროს ბიჭმა" — ოთაგოს გარემრბმა ჭეფ ვილსონმა ერთბაშად 5 ლელო გაიტანა.

ფიჯმა ბოლო მეოთხედი 14 კაცის ამარა ითამაშა, რადგან მათი და ველინგთონის „გრიგალების" 135-კილოიანი ბურჯი ბილ კავუბათი „ოლ ბლექსის" კაპიტან შონ ფითსპატრიქისთვის თავის ძგერების გამო გაძევეს. შონს არა დაშავებია რა. სამაგიეროდ, ამ რვა წლის წინ არგენტინასთან მძიმედ დაშავებული მუხლი ისევ იღრძო 51 ტესტის ვეტერანმა, 32 წლის გულმხურვალე ქრისტიანმა, ფლანკერმა მაიქლ ჩოუნზმა და სეზონის ბოლომდე გავარდა. მას კვირას ოპერაცია გაუკეთეს, მუხლში მავთული ჩაუდეს; ახლა მაიქლი სირბილს ოთხი თვის შემდეგ თუ შეძლებს.

ნიკო ვეფხვაძე

ჩოგბურთი

მოახლოვდა უიმბლდონი. იგი ორშაბათს იწყება. ჰოდა, ბალახის მოედნებზე მყის წარმოჩნდა თოფჩი-ხანის („ცხოურად „არსენალის") ძალა: სპარსეთის ყურის კონფლიქტის დროს სახელგავარდნილ რაკეტა „სკადად" ცნობილმა მარკ ფილიპუსისმა წინა კვირაში უიმბლდონის მეზობლად, ქვინზ-კლაბში გაიმარჯვა, რუსელმა ავტომატმა „კალაშნიკოვმა" — სოჭელმა ჩოგბურთელმა ევგენი კაფელნიკოვმა კი მოიგო გერმანიაში ერთადერთი, პალეს საბალახო ტურნირი.



ჯერი ვებერის პირველობა

პალე (გერმანია). ბალახი. საპრიზო ფონდი — 875 ათასი US$

I წრე: რიჩი რენებერგი (აშშ) — რიხარდ კრაიჩეკი (პოლანდია, 3) 4:6, 7:6 (7-2), 7:6 (8-6). მეოთხედფინალი: ბორის ბეკერი (გერმანია, 4) — ჯეფ თარანგო (აშშ) 6:4, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 1) — მიხაელ შტიხი (გერმანია) 7:6 (7-5), 6:7 (4-7), 6:3; პეტრ კორდა (ჩეხეთი, 8) — თომას მუსტერი (ავსტრია, 2) 6:3, 6:4; პაულ ჰაარჰუისი (პოლანდია) — რენებერგი 6:2, 6:1. ნახევარფინალი: კაფელნიკოვი — ბეკერი 6:3, 6:4; კორდა — ჰაარჰუისი 7:6 (7-5), 6:4. ფინალი: კაფელნიკოვი — კორდა 7:6 (7-2), 6:7 (5-7), 7:6 (9-7)

ბეკერსა და კაფელნიკოვს წელს ტურნირი აქამდე ვერ მოეგოთ. ერთმანეთს ნახევარფინალში გადაეყარნენ. 12 ათასი გერმანელი ქომაგი თავისიანს ისე უჭერდა მხარს, რომ რუსს თავი დევისის თასის მატჩზე ეგონებოდა.

და მაინც, საწყის 18 წუთში ჟენია 5:0 დაწინაურდა. მერე ბორისმა ცოტა გამოიღო ხელი, მაგრამ მეორე ხელში მსაჯთა გადაწყვეტილება ზედიზედ არ მოეწონა, 5 წუთი იდავა და პროფ-ტურის დელეგატსაც უხმო. ბოლოს კაფელნიკოვმა 75 წუთში მაინც მოიგო, ბალანსი კი 4-2 გახდა გერმანელის სასარგებლოდ.

ფინალში 23 წლის რუსმა სამი მატჩ-პოინტი იხსნა და კარიერის მე-12 ტიტული მოიხვეჭა. თამაშმა ორ საათსა და 18 წუთს გასტანა. რუსი შარშანაც ფინალში იყო, მაგრამ ნიკლას კულტისთან (შვედეთი) წააგო, ამჯერად კი ცხოვრებაში პირველად გაიმარჯვა სპალახო ტურნირში. რუსი ბოლო თაი-ბრეიქში ისე გაფიცხდა, რომ ჩოგანი ძირს დაანარცხა და დალეწა.

ნაღდი თოფჩიხანა:

აქეთ სპადი, იქეთ — კალაშნიკოვი

კორდა ფინალში გასვლას ეტყობა არ იგეგმავდა. ამის გამო შაბათ საღამოს შშობლიურ პრაღაში დარეკა, არიქა, წაღების ახალი წყვილი ჩამომიტანეთო. ჩეხმა ეისებით 28-7 აჯობა რუსს, მაგრამ კარიერაში მე-15-ედ (!) მაინც წააგო ტურნირის ფინალი.

სტელა არტუაზის პირველობა

ქვინზ-კლაბი (ლონდონი). ბალახი. 675 ათასი US$

I წრე: ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — მარკ როსე (შვეიცარია, 5) 7:6 (7-1), 6:3; სტოთ დრეიპერი (ავსტრალია) — მაიქლ ჩანგი (აშშ, 2) 6:3, 2:6, 7:6 (8-6). III წრე: ივენს კნიშილდი (გერმანია) — თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 4) 7:6 (7-5), 6:3; პატ რაფთერი (ავსტრალია, 9) — ჯიმ კურიე (აშშ, 7) 4:6, 6:3, 6:3. მეოთხედფინალი: იონას ბიორკმანი (შვედეთი, 8) — პიტ სამპრასი (აშშ, 1) 3:6, 6:3, 6:4; გრეგ რუზეტკი (ბრიტანეთი, 16) — რაფთერი 4:6, 7:5, 6:3; მარკ ფილიპუსისი (ავტრალია, 6) — კნიშილდი 6:2, 6:7 (4-7), 6:4; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 3) — გოლმარი 6:3, 7:6 (11-9). ნახევარფინალი: ფილიპუსისი — ბიორკმანი 2:6, 7:6 (7-5), 6:2; ივანიშევიჩი — რუზეტკი 4:6, 6:4, 7:6 (20-18). ფინალი: ფილიპუსისი — ივანიშევიჩი 7:5, 6:3

წყვილები. მეოთხედფინალი: ფილიპუსისი და რაფთერი (6) — ჰენმანი და სამპრასი (4) 6:3, 7:6 (7-3). ნახევარფინალი: ფილიპუსისი და რაფთერი — მარკ ჯუდფორდი და თოდ ჯუდბრიჯი (ავსტრალია (1) 7:6 (7-5), 3:6, 6:3. ფინალი: ფილიპუსისი და რაფთერი — სენდონ სთოლი (ავსტრალია) და კირილ სუკი (ჩეხეთი) (7) 6:2, 4:6, 7:5

სამპრასის საშველი არაა: პარიზში ხომ შეეყარა ფაღარათი და ლონდონურმა საკვებმაც აწყინა. ვერც შვედებს მოუხერხა რამე: თუ როლან-გაროსში მაგნუს ნორმანმა იმსხვერპლა, ქვინზ-კლაბში იონას ბიორკმანთან წააგო. ამით შვედმა წელს 34-ე გამარჯვება მიითვალა. არადა, სამპრასის ანგარიშზე ჭერ-ჭერობით მხოლოდ 23 მოგებული მატჩია.

ექს-კანადელი რუზეტკი შეიქნა პირველი ბრიტანელი, ვინაც „სტელა-არტუაზის" ნახევარფინალს უწია. ძალისმიერად მოთამაშე 44-ე ჩოგანი იქ გადაეყარა იმავე სტილში, ოღონდაც ბევრად უკეთ მობურთალ ფიცხ ხორვატს. საწყისი ორი ხელის ბედი X და IX გეიმების თითო ბრეიქმა გადაწყვიტა, ბოლო ხელში კი საარაკო თაი-ბრეიქი გაჩაღდა. ბრიტს 6 მატჩ-პოინტი მიეცა, სლავს — 8 და ბოლო მთგანით კიდეც იხერხა.

გორანი დაღალა ამდენმა თაი-ბრეიქობანამ. ფინალში 194-სანტიმეტრა გოლიათმა 12 ეისი გაახერხა, მაგრამ 195-სანტიმეტრა ფილიპუსისმა, მელბურნელი ტაქსის შოფრის ვაჟი რომაა, მეტი — 15 შეიძლო, რითაც კვირის მონაგარი 91-ს უტოლა.

თამაში სულ რაღაც 53 წუთს გაგრძელდა და სავალალო სანახავიც იყო. ბურთი თითო გათამაშებაზე მაქსიმუმ ოთხჯერ გადავლებოდა ბადეს. ავსტრალიელს შეცდომა თითქმის არ მოსდიოდა: I ხელში XII, II ხელში კი VIII გეიმში მიეცა ბრეიქ-პოინტი და ორჯერვე წარმატებით გამოიყენა. გორანმა II ხელში, 3:3-ზე იგრძნო უძლურება და ბურთის მიმტან 14 წლის გოგოს — ვინმე ემი ქეკენოვს თავისი ჩოგანი ხუმრობით შეაჩეჩა, ეგებ შენ მოუხერხო „სკადს" რამეო. ბავშვი წაეთამაშა ფილიპუსისს, ბურთმა 17-გზის გადაუფრინა ბადეს და როგორც მოსალოდნელი იყო, ქულა გოგოს ერგო.

„სკადმა" წელს მესამე ტურნირი მოიგო. მანამდე მან სქოთსდეილში (აშშ) და მიუნხენში გაიმარჯვა.



კარიზბოს საერთაშორისო

ბოლონია (იტალია). თიხა. 328 ათასი US$

მეოთხედფინალი: გუსტავო კერტენი (ბრაზილია, 8) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი, 1) 6:3, 6:7 (1-7), 7:5; მარციო მარტელი (იტალია) — ჰიშამ არაზი (მაროკო, 5) 2:6, 6:3, 6:4; ფელიქს მანტია (ესპანეთი, 2) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 4:6, 6:4, 6:3; ქარომ ალამი (მაროკო, 6) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 3:6, 6:3, 6:3. ნახევარფინალი: კერტენი — მარტელი 6:1, 6:2; მანტია — ალამი 6:3, 6:2. ფინალი: მანტია — კერტენი 4:6, 6:2, 6:1

წყვილთა ფინალი: კერტენი და ფერნანდუ მელიჟენი (ბრაზილია) — რენდონი და ვაითი (აშშ) 6:2, 7:5

საფრანგეთის ახალი ჩემპიონი, 20 წლის კერტენი, მისივე თქმით, ფეხბურთელი რონალდოს ბადალი ჩემპიონი სულაც არაა. ეს კარგად გამოჩნდა ბოლონიურ ფინალში, რომელიც 32-გრადუსიან ხვატში გაიმართა.

III ხელში გუსტავომ ორჯერ ითხოვა ტაიმ-აუტი, ექიმებმა კი მარილები და ბლომად სითხე მისცეს, შესვენებაზე კისერზე ყინულით სავსე ტომსიკაც დადეს, მაგრამ ზედიზედ 16 მატჩის მომგები კოლორიტული ბრაზილიელი მაინც დამარცხდა. მერე, საღამოს რომ აგრილდა, კერტენმა ამ ქვეყნისკენ მოიხედა და წყვილთა ფინალში გაიმარჯვა.

როიტერ-ის ფოტოები

ამ კვირაში

ქალთა ტურნეი: ისთბორნი (ინგლისი), ბალახი, 450 ათასი US$ და როზმალენი (პოლანდია), ბალახი, 164 250 US$

ვაჟთა ტურნეი: როზმალენი, ბალახი, 475 ათასი US$ და ნოთინგემი (ინგლისი), ბალახი, 303 ათასი US$

ტელევიზია

საქართველოს დროით

EUROSPORT

ხუთშაბათს, 17 ივნ

17.30 ავტორბოლა: ჩიუქი საფარ

13.30 ფეხბურთი: ჭაბუკთა მსოფლიო პ

რველობა. მალაიზია — მაროკო; 15.0

ავტორბოლა: ტურ-კარი. ზახსენრინგერ

დან (გერმანია); 16.00 საფეხბურთ

ურნალი „ევრო-გოლები"; 17.00 ფ

ბურთი: ჭაბუკთა პირველობა. საფრანგ

თი — ბრაზილია; 19.30 (პ) ჩოგბურთ

როზმალენიდან (პოლანდია); 21.30 (

ველორბოლა: შვეიცარიის ტური; 22.0

რბოლა ყინულეთში; 22.30 საგოლფ

ურნალი „სრბოლა"; 23.00 (პ) კრიკ

ბრიტანეთის თანამეგობრობის მძიმე ნ

ნის ჩემპიონობაზე. ფრენსისი — ჩინე

გუ; 1.00 ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველ

ბა (რ); 3.00 ცხენოსნობა: ერთა თას

ლისაბონიდან; 4.00 ველორბოლა: შვე

ცარია (4.30-მდე)

ხვალ, ოთხშაბათს, 18 ივნისს

11.30 ლე-მონის 24-საათა ავტორბ

ლა; 12.30 ველორბოლა: შვეიცარ

13.00 ველორბოლა: საფრანგეთის ტურ

გზამკვლევი; 13.30 ფეხბურთი: ჭაბუკ

პირველობა; 15.00 მოტოციკლის ჯურნ

ლი „თვლები"; 15.30 მოტოციკლეტის ჯ

ნალი „ქიქ"; 16.00 კრიკეტი: ქვემძიმე ნ

ნა. ოტკე — ფლუტე; 17.00 (პ) ფ

ბურთი: ჭაბუკთა პირველობა. სპილ

ძვლის ნაპირი — ინგლისი; 18.15 (

ველორბოლა: შვეიცარია; 19.30 ველო

ბოლა: მსოფლიო თასი. აშშ-დან; 20.0

(პ) ჩოგბურთი: როზმალენი; 21.30 (ლეკოსნობა: ეიაპპ-ის დიდი პრიზი. ა

სინკიდან; 23.30 სატვირთო მანქანებ

რბოლა; 24.00 ავტორბოლა: ტურ-კარ

დონინგთონ-პარკიდან (ინგლისი); 1.

ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველობა (

2.30 ველორბოლა: გზამკვლევი; 3.

გოლფი: ეეროპის ქალთა ტური. ლ

ნიდან (შვეიცარია); 4.00 ველორბ

შვეიცარია (4.30-მდე)

(მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რეკ

CNN INTERNATIONAL

ყოველდღე

2.30 და 11.3

მსოფლიო სპორ

ტი (მ); 16.30 (

19.30 (11.30-

გადაცემის გამეორება)

„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკე

95 26 90

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ მეძველია

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი ვახტანგ გზიკაძე ზაალ გიგინეიშვილი მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძ მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაც ხელია, მერაბ მამულაშვილი, ონო შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება: ავთანდილ გურახაშვილ ერეკლე კიკილაშვილი, ილია მზე ძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძ ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძ სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირ მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბეს ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილ

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძ

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პ სუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილის ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპ სი, IV სართული. წერილებისა დ სხვა საფოსტო გზავნილებისთვ თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 20 ტელეფონი: 39 48 29